

585 /  
1995 3

ISSN 0203 - 2023



1995

№ № 31-33

საქართველოს პარლამენტის

# პ რ ა დ ი ბ ი

---

თბილისი

# საქართველოს პარლამენტის **უცხოები**

№ 31-33(648-650) აგვისტო-ოქტომბერი

1995 წელი

## შინაარსი

### აგვისტო გაცემილება პირველი

664 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “ამნისტიის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამოყენების წესის თაობაზე“ დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“

665 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

666 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

667 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

668 საქართველოს კონსტიტუცია

669 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე“

670 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე“

### გაცოცილება მეორე

საქართველოს პარლამენტის განცხადება  
სექტემბერი

671 საქართველოს რესპუბლიკის კანონი “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“

672 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე“

673 საქართველოს რესპუბლიკის კანონი “საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“

674 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე“

675 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და წევრების არჩევის წესის შესახებ“

676 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“

677 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორი წევრის არჩევის შესახებ“

678 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიის გაუქმების შესახებ“

679 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაუქმების შესახებ“

680 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საშემოდგომო სეიის დაწყების თარიღის შესახებ“

681 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულების“ ძალადაკარგულყდ ცნობის შესახებ“

682 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “იგორ გორგაძის საქართველოს სახელმწიფო უმიშროების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“

683 საქართველოს რესპუბლიკის კანონი “საქართველოს რესპუბლიკში საგზაო ფონდის შესახებ“

684 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს რეს-

პუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედების თაობაზე”

685 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების შემდგენლობის განსაზღვრის, ფუნქციების გამზღვისა და გადანაწილების, საჭიროების შემთხვევაში რუორგანიზაციის შესახებ”

686 საქართველოს რესპუბლიკის კანონი “ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით “საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ ცვლილებისა და დამატების შესახებ”

687 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით“ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ ცვლილებისა და დამატების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე”

688 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით“ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ ცვლილებისა და დამატების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედების თაობაზე”

689 საქართველოს რესპუბლიკის კანონი “საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ”

690 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

### ოქტომბერი

691 საქართველოს პარლამენტის დადგენილება “ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

692 საქართველოს რესპუბლიკის კანონი “ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“

693 საქართველოს რესპუბლიკის კანონი “აფხაზეთის ინვალიდთა და ღრმოლვილთა დახმარების ასოციაცია “დაბრუნების“ საბიუჯეტო გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ“

**ანგარერ-საპნებრივი საქიანელი**



## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

664 “ამნისტის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამოყენების წესის თაობაზე“ დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:


“ამნისტის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამოყენების წესის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 2 ივნისის დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-5 მუხლში სიტყვების “თავს არიდებენ გამოძიებას ან გაიქცნენ თავისუფლებას აღკვეთის” შემდეგ დაემატოს სიტყვები “ან შრომაში სავალდებულო ჩაბმის“.

2. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი: “ამნისტის შესახებ” კანონის მე-3 მუხლი არ შეეხებათ მხოლოდ იმ მსჯავრდებულებს, რომელთაც სასამართლომ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის გამოყენებით სასჯელი განუსაზღვრა ისეთი მძიე დანაშაულისათვის, რომლისთვისაც კანონით სანქციის მინიმუმი ხუთ წელზე მეტია“.

3. “ამნისტის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოქმედების ვადა გაგრძელდეს ერთი თვით – 1995 წლის 2 სექტემბრამდე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –  
 სახელმწიფოს მეთაური დაუარღ შევარდნაშვ.  
 თბილისი, 1995 წლის 1 აგვისტო.



## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

665 “საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ” საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

“საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ” საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 4 ივნისის დადგენილების (1995 წლის 25 ივნისის რედაქციით) პირველ პუნქტში სიტყვები “3 აგვისტომდე” შეიცვალოს სიტყვებით “10 აგვისტომდე”, ხოლო მეორე პუნქტში სიტყვები “10 აგვისტომდე” – სიტყვებით “17 აგვისტომდე”.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური

**ედუარდ შევარდნაშვილი**

თბილისი, 1995 წლის 3 აგვისტო.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

666 “საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ” საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

“საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ” საქართველოს პარლამენტის დადგენილების – (1995 წლის 3 აგვისტოს რედაქციით) პირველ პუნქტში სიტყვები “10 აგვისტომდე” შეიცვა-

ლოს სიტყვებით “17 აგვისტომდე”, ხოლო მეორე პუნქტში სიტყვები “10 აგვისტომდე” – სიტყვებით “22 აგვისტომდე”.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –  
სახელმწიფოს მეთაური მდგრად შევარდნაშვ.

თბილისი, 1995 წლის 10 აგვისტო.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

667 “საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ” საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ” საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 10 აგვისტოს დადგენილების პირველ პუნქტში სიტყვები “17 აგვისტომდე” და “22 აგვისტომდე” შეიცვალოს სიტყვებით “30 აგვისტომდე”.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

სახელმწიფოს მეთაური მდგრად შევარდნაშვ.

თბილისი, 1995 წლის 23 აგვისტო.

## 668 საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს მოქალაქენი, რომელთა უწყვეტი ნება დამკვიდრონ დემოკრატიული სახოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უსრუচელესობის აღძიანის სყიდვებთან დათარგმული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხურთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

## თავი პირველი

### მუხლი 1.

#### ზოგადი დებულებები

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფობრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.
2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.
3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა “საქართველო”.

### მუხლი 2.

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღარისებულია სახელმწიფოთა შსოფლით თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.
2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფოს საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადგებული ორმხრივი შეთანხმებით.
3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფობრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამოჯგნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.
4. საქართველოს მოქალაქეები აღვილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულაპავად. აღვილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

### მუხლი 3.

1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გან-  
საკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლე-  
ბათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შე-  
ძლივლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა  
და მოქალაქეობის არქონების პირთა დროებით ან მუდმივად ყოფის შესა-  
ხებ;

ბ) სახელმწიფოს საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტო-  
რიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და გან-  
საკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;

გ) სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო  
მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა;

დ) ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა  
სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება;

ე) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;

ვ) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;

ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა;  
საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა;

თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუს-  
ტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;

ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა;  
საკურო ფლოტი; გემთა აღმები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის  
ნაკრებულები, აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის,  
ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანს-  
პორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგო-  
მარეობაზე დაკვირვების სისტემა;

კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რეინიგზა და საავტომობილო  
გზები;

ლ) თევზჭერა ოკეანესა და დია ზღვაში;

მ) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;

ნ) ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა;

ო) საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ატესტაცია და აკრე-  
დიტაცია; კანონმდებლობა აკადემიური, სამეცნიერო, პროფესიული წოდე-  
ბებისა და ხარისხების შესახებ;

- 3) ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა;
- 4) სავაჭრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, აღმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა;
- 5) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება;
- 6) მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა;
7. ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე განისაზღვრება.

#### მუხლი 4.

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი ოვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.
2. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.
3. სენატი შედგება აფხაზეთში, აჭარაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.
4. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

#### მუხლი 5.

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.
2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უფლებების დამოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.
3. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.
4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

## მუხლი 6.

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.
2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

## მუხლი 7.

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

## მუხლი 8.

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური.

## მუხლი 9.

სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

## მუხლი 10.

საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

## მუხლი 11.

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით.

## თავი მეორე

საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი  
უფლებანი და თავისუფლებანი

### მუხლი 12.

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.
2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა  
სახელმწიფოს მოქალაქე.
3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განი-  
საზღვრება ორგანული კანონით.

### მუხლი 13.

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი  
ადგილსამყოფელისა.
2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გამევება დაუშვებელია.
4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსაოვის გადაცემა  
დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინე-  
ბული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ  
შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

### მუხლი 14.

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანა-  
სწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგი-  
ისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და  
სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი  
მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

### მუხლი 15.

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
2. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა,

მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

### მუხლი 16.

ყველას აქვს საგუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

### მუხლი 17.

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

### მუხლი 18.

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.
2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.
3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ. უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მოიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.
4. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფინანსური იძულება.
5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრების-თანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოიხოვოს-დამცველის-დახმარება, რაც უნდა-დაკმაყოფილდეს.
6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღმატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა

7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავშულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაცის მიღების უფლება.

### მუხლი 19.

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

### მუხლი 20.

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

### მუხლი 21.

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასა-



მართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი უფლებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

## მუხლი 22.

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული სახოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან სახოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

## მუხლი 23.

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუგალია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადალება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

## მუხლი 24.

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებას განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მოლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათ უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამედავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოუკრძოებლობის უზრუნველსაყოფად.

## მუხლი 25.

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მინიჭესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

## მუხლი 26.

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიღონ მის საქმიანობაში.

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მოლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწვევა ომის ან ძალადობის პროცესანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხეურ, რელიგიურ ან სოციალურ შედლს.

4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ

შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

### მუხლი 27.

სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

### მუხლი 28.

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედულია არჩევნების დროს ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

### მუხლი 29.

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 30.

1. შრომა თავისუფალია.

2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა



და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო ოცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 31.

სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს.

### მუხლი 32.

სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინისტრით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 33.

გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს ავრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

### მუხლი 34.

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუძლებლავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგად-საკაცობრივ ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.





2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნვადებულებული ტურული მემკვიდრეობის დაცა-შენარჩუნებაზე. პელტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

### მუხლი 35.

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან.

3. სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი განათლება სავალდებულოა. სახელმწიფო თავის სარჯზე უზრუნველყოფს საბაზო განათლებას. მოქალაქეებს უფლებაა აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მოიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადაგენილი წესით.

### მუხლი 36.

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

### მუხლი 37.

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით გაჭრობას.

3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უგნებელ



გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ქვე-  
ლა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივი და კულტურულ გარემოს.

4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველ-  
საყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების  
შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვა-  
ლისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციო-  
ნალურ ბუნებათსარგებლობას.

5. ადამიანის უფლება აქვს მიღლოს სირული, ობიექტური და დროული  
ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგრადულის შესახებ.

### მუხლი 38.

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ,  
კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნუ-  
ლი, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთხითლებისა. საერთაშორისო  
სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების  
შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმი-  
ნაციისა და ჩარევის გარეშე განაციონონ თავიანთი კულტურა, ისარგე-  
ლონ დედაქანით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპე-  
ბისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორ-  
ციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს,  
სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ  
დამოუკიდებლობას.

### მუხლი 39.

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის  
სწავლა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარან-  
ტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად  
გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

### მუხლი 40.

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ  
დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემ-ყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

## მუხლი 41.

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა პერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

## მუხლი 42.

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსავის მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის ოურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუმალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთ-  
სავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების  
მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა  
არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა  
საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. კველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველო-  
ბის ორგანოთა და მომსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის  
სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

### მუხლი 43.

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფ-  
ლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამ-  
ცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლე-  
სობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის  
უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის  
შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმი-  
ანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

3. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული  
კანონით.

### მუხლი 44.

1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს  
საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ  
უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

### მუხლი 45.

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,  
მთი მინარესის გათვალისწინებით, კოცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

## მუხლი 46.

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე, და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

2. თუ შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ.

## მუხლი 47.

1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

## თავი ესავა საქართველოს პარლამენტი

## მუხლი 48.

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მიზანების მიმღებად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

## მუხლი 49.

1. პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 პარლამენტის წევრისაგან.

2. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

3. პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

## მუხლი 50.

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წე-  
სით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პილიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია არანაკლებ 50000 ამომრჩევლის ხელ-  
მოწერით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნე-  
ბის დანიშვნის დროისათვის, მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში –  
პირს, რომლის წარდგენის ინიციატივა დადასტურებულია 1000 ხელ-  
მოწერით მაინც, ან რომელიც ბოლო არჩევნებით იყო პარლამენტის წევრი.

2. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პილი-  
ტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომელიც პრო-  
პორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომ-  
რჩეველთა ხმების 5 პროცენტს მაინც.

3. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მისი უფლებამოსილების გასვლამდე არა უგვიანეს 15 დღისა. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომა-  
რეობის გაუქმებიდან არა უგვიანეს 60 დღისა. არჩევნების თარიღს ნიშვნას საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

4. პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პარლამენ-  
ტის პირველი შეკრებისთანავე.

5. პარლამენტის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორ-  
განული კანონით.

## მუხლი 51.

საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდეგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

## მუხლი 52.

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.

2. პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი განხრება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყიტის შემდეგაც.

4. პარლამენტის წევრი პასუხისმგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

5. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფებ მის პირად უსაფრთხოებას.

6. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.



## მუხლი 53.

- პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რამე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს ქანონი.
- წინა პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება.
- პარლამენტის წევრი იღებს ქანონით დადგენილ გასამრჯელოს.

## მუხლი 54.

- პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქონსტიტუციო სასამართლოში.
- პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:
  - პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოექსნა;
  - მის მიმართ ქანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
  - სასამართლომ ცნო ქმედეუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაგარგულად ან გარდაცვლილად;
  - დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
  - დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
  - არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში;
  - გარდაიცვალა.

## მუხლი 55.

- საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილებს, მათ შორის თითო მოადგილეს აფხაზეთიდან და აჭარიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან მათივე წარდგინებით.

- პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ

სხვა უფლებამოსილებებს.

3. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას.

4. პარლამენტის თავმჯდომარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ასორციელებს სრულ აღმინისტრაციულ უზუქციებს პარლამენტის შენობაში.

## მუხლი 56.

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები.

2. კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა დროებით კომისიაში არ უნდა აღმატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.

3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა.

## მუხლი 57.

1. პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

2. კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებს ბიურო შესაბამისი კომიტეტების დასკვნის საფუძველზე განიხილავს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით. დასკვნა წარდგინება პრეზიდენტს და პარლამენტს. ბიურო იღებს გადაწყვეტილებებს პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე.

## მუხლი 58.

1. პარლამენტის წევრი შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები.

2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება კანონითა და რეგლამენტით.

## მუხლი 59.

1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებებს და მიიღოს მათგან პასუხი.

2. პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვს შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

## მუხლი 60.

1. პარლამენტის სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეულ საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

2. პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ. .

3. კენჭისყრა ყოველთვის არის ღია ან სახელობითი, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. პარლამენტის სხდომის ოქმი, საიდუმლო საკითხების გამოკლებით, ქვეყნდება პარლამენტის ბეჭდვით ორგანოში.

## მუხლი 61.

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

2. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით სესიებს შორის პერიოდში იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიძღინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში შეუდგეს შეშაობას.

3. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ჩატარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

4. პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში პარლამენტი იკრიბება. პარლამენტის მუშაობა გრძელდება ამ მდგომარეობის დამთავრებამდე.

## მუხლი 62.

პარლამენტის გადაწყვეტილება ომისა და ზავის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

## მუხლი 63.

1. 75-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღმდეგის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.

2. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა, ან



საქონისტიტუციით სასამართლომ — კონსტიტუციის დარღვევა, დასკვალიფიციანის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი.

3. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

4. თუ 30 დღის ვადაში პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია იმავე ბრალდების წარდგენა.

5. დაუშვებელია პრეზიდენტისათვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის ან ომის დროს.

## მუხლი 64.

1. კონსტიტუციის დარღვევისას, სახელმწიფოს დალატისა და სისხლის სამართალის სხვა დანაშაულის წარდგენისათვის იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

2. 63-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული წესით დასკვნის მიღების შემდეგ სრული შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადაყენოს ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები. ამ შემთხვევებზე ვრცელდება აგრეთვე 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება.

## მუხლი 65.

1. საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას.

2. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე

ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების რატიფიცირება,  
რომელიც:

- ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფო-  
თაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;
- ბ) სამხედრო ხასიათისაა;
- გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო  
საზღვრების შეცვლას;
- დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღდასა და გაცემასთან;
- ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას,  
ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი  
კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას.
3. პარლამენტს უნდა ეცნობოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულება-  
თა და შეთანხმებათა დადების შესახებ.
4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან  
წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთა-  
შორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტი-  
ტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

## მუხლი 66.

1. პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლე-  
ბა, როცა მას მხარს დაუჭერს დამსტრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკ-  
ლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ  
კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგე-  
ნილების მიღების სხვა წესი.

2. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს  
დაუჭერს პარლამენტის სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. პარლამენტის თანხმობა მიღება დადგენილების სახით, თუ კონს-  
ტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.

4. სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება პარ-  
ლამენტის რეგლამენტით.

## მუხლი 67.

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზი-  
დენტს, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის



ქომიტეტის, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანიზაცია ნოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

2. საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნით მის წარდგენილ კანონ-პროექტს პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

## მუხლი 68.

1. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.

2. პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.

3. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭის უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტისათვის დადგენილია კონსტიტუციის 66-ე მუხლით. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

4. თუ პარლამენტმა არ მიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონი ან ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სიით შემადგენლობის არანაკლებ სამა მეხუთედმა. კონსტიტუციის შესწორება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

5. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

6. კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

## თავი მეოთხე

საქართველოს პრეზიდენტი

## მუხლი 69.

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.



2. საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სპეციალური წილის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.

3. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში.

## მუხლი 70.

1. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

3. პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან სანიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 50000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

4. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

5. თუ არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური.

6. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მესამედი მაინც. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს, ოღონდ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეხუთედისა.

7. თუ არჩევნები ჩატარებულად არ გამოცხადდა, ან ჩატარდა, მაგრამ

პირველ ტურში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი კანდიდატი და მან ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა, ან მეორე ტურში არ აირჩა პრეზიდენტი, ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები.

8. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.
9. პრეზიდენტის მორიგი არჩევნების პირველი ტური ეწყობა წინა არჩევნების ჩატარებიდან მეხუთე წლის პრინციპის მეორე კვირა დღეს.
10. პრეზიდენტის არჩევნების წესი და პირობები განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

## მუხლი 71.

1. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცეს: “მე, საქართველოს პრეზიდენტი, დევოისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცერემონიალი იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

## მუხლი 72.

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.

## მუხლი 73.

1. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს და ათვისუფლებს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს;

იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა

ელჩიებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას;

ბ) პარლამენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის წევრებს – მინისტრებს;

- გ) უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრები;
- დ) იღებს მინისტრებისა და კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირთა-გადადგომას, უფლებამოსილია მინისტრებს დააკისროს თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულება ახალი მთავრობის შექმნამდე;
- ე) წარუდგენს პარლამენტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების შედევე;
- ვ) პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. და დადგენილი წესით;
- ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად;
- თ) ომიანობისა თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეირაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომელიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებებს. დეკრეტები წარუდგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარება;

- ი) პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისანი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო

ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

კ) კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებს და განკარგულებებს;

ლ) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციით განსაზღვრული წესით;

მ) წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრთხოების მიცემის საკითხებს;

ნ) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამსახურო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანჟებს;

ო) შეიწყალებს მსჯავრდებულობა;

2. პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით.

3. პრეზიდენტი უფლებამოსილია გააუქმოს მისდამი ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტები.

4. პრეზიდენტი არის საქართველოს სამსახურო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თავმჯდომარეობს მის სხდომებს, ნიშნავს და გადააყენებს მხედართმთავრებს.

5. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეწის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

6. პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## მუხლი 74.

1. საქართველოს პარლამენტის, ასამაკლებ 200000 ათასზევნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ საკითხებზე ნიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მდგრადი 30 დღის განმავლობაში.

2. არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდვავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

3. რეფერენდუმის დანიშნვასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

### მუხლი 75.

1. საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა.

2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი, თუ:

ა) კონსტიტუციის დარღვევა დადასტურებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ბ) სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები დადასტურებულია უზენაესი სასამართლოს დასკვნით.

### მუხლი 76.

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე. ამ ხნის განმავლობაში პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

2. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის გამოიყენოს 73-ე მუხლის პირველი პუნქტის “გ” და “ი” ქვეპუნქტებით და 74-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები.

3. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი.

## მუხლი 77.

1. აღმასრულებელი ხელისუფლების განსახორციელებლად საქართველოს პრეზიდენტი ფიცის მიღების შემდეგ იღებს მთავრობის ძეველი შემადგენლობის მიერ უფლებამოსილებათა მოხსნას და შეუძლია მასვე დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებამდე. ორი კვირის განმავლობაში პრეზიდენტი ვალდებულია ჩამოაყალიბოს მთავრობის შემადგენლობა და წარუდგინოს პარლამენტს. შესაბამის კომიტეტებში განხილვის შემდეგ პარლამენტი ამტკიცებს მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

2. მთავრობის იმ წევრის საკითხს, რომლის მიმართ პარლამენტმა მიიღო აცილება, ან რომელიც ვერ დამტკიცდა, წყვეტს პრეზიდენტი. ის უფლებამოსილია ხელახლა წარადგინოს იგივე ან ახალი კანდიდატურა. ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება წარდგენილი იქნეს ორჯერ. მეორედ წარდგენის წესი განისაზღვრება კანონით.

3. მინისტრის განთავისუფლების შემთხვევაში მინისტრის კანდიდატურას პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს ორი კვირის ვადაში.

## მუხლი 78.

1. აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურასა და საქმიანობის წესს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტი.

2. აკრძალულია სამხედრო ძალების, სახელმწიფო უმიშროებისა და პოლიციის უწყებათა შერწყმა ან სხვაგვარი გაერთიანება.

## მუხლი 79.

1. მთავრობის წევრები პასუხისმგებელი არიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

2. მთავრობის წევრები უფლებამოსილებას ისნიან პრეზიდენტის წინაშე.

## მუხლი 80.

1. მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიშე სხვა საქმიანობიდან.



2. მთავრობის წევრი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადადგინდებოდენ განსაზღვრული წესით.

3. მთავრობის წევრის თანამდებობიდან განთავისუფლება შესაძლებელია პრეზიდენტის ბრძანებულებით ან პარლამენტის მიერ 64-ე მუხლით განსაზღვრული წესით.

## მუხლი 81.

1. სამინისტროები იქმნება კანონის საფუძველზე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად.

2. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიეუთვნებულ საკითხებზე. მინისტრი კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.

3. მთავრობის შემადგენლობაშია სახელმწიფო მინისტრი, რომელიც ხელმძღვანელობს კანცელარიას და პრეზიდენტის რწმუნებით ასრულებს მის ცალკეულ დავალებებს.

## თავი მაცეთი სასამართლო ხელისუფლება

## მუხლი 82.

1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

2. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

3. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

## მუხლი 83.

1. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრობა კონსტიტუციით და ორგანული კანონით.
2. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი სისტემა და სამართალწარმოების წესი დადგენილია კანონით.
3. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.
4. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

## მუხლი 84.

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.
2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე განთავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
3. არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში ქონგრეტულ საქმეზე.
4. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.
5. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

## მუხლი 85.

1. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.
2. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იმ რაიონ-



ებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფის ფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

3. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

### მუხლი 86.

1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

2. მოსამართლის თანამდებობაზე განწესება ხდება არააქლებ 10 წლის ვადით. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, თანამდებობიდან განთავისუფლების წესი განისაზღვრება კანონით.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

### მუხლი 87.

1. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩერება საქართველოს უზენაერი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

2. სახელწიფო უზრუნველყოფის მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

### მუხლი 88.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსახლეობის მართლისაგან – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარედ ერთი და მავი პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლო საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩერება საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისა დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა უცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განზავისუფლდეს.

## მუხლი 89.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან კანონის და პრეზიდენტის, აფხაზეთის, აჭარის ხელისუფლების უმაღლეს იურიდიკულობის მიხედვის მიზანით;

ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე;

ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენცდუმებისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დავას;

ე) იხილავს საქართველოს ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) მოქალაქეების სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით;

ზ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არა-კონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ოურიდიულ ძალას საქართველოს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

## მუხლი 90.

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგნილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით განსაზღვრულ საქმეებს.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საჭიანობისა და უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება კანონით.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება,



მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩერება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

### მუხლი 91.

1. საქართველოს პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სისხლისამართლებრივ ღევნას, ზედამხედველობს მოკვლევას, სასჯელის მოხდას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

2. საქართველოს პროკურატურა ერთანი ცენტრალიზებული სისტემაა. გენერალურ პროკურორს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 5 წლის ვადით სიით შემადგენლობის უმრავლესობით ნიშნავს პარლამენტი. ქვემდგომ პროკურორებს ნიშნავს გენერალური პროკურორი.

3. პროკურატურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

### თავი გვევას

სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

### მუხლი 92.

1. საქართველოს პარლამენტი სიით შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 93.

1. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტია უფლებამოსილი პარლამენტს წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტი.

2. პრეზიდენტი მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს 3 თვისა საბოუჯეტო წლის დამთავრებამდე.



ბიუჯეტის პროექტთან ერთად პრეზიდენტი წარადგენს მოხსენებას მიმღებად წლის ბიუჯეტის შესრულების მიმღიარების შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს პრეზიდენტი პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უფასას 3 თვისა.

3. პრეზიდენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა. პრეზიდენტს მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

4. თუ პარლამენტმა ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მოახერხა ბიუჯეტის მიღება, სახელმწიფოს მიერ ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი ხარჯები დაიფარება წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით.

## მუხლი 94.

1. სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.
2. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.
3. გადასახადებისაგან განთავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

## მუხლი 95.

1. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და აზორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული მირითადი მიმართულებების შესაბამისად.
3. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.
4. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.
5. ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება კანონით. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნული ბანკს.

## მუხლი 96.

1. საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სიით შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64-ე მუხლის შესაბამისად.

2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

## მუხლი 97.

1. სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამუშაოების კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

2. კონტროლის პალატა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 5 წლის ვადით სიით შემადგენლობის უმრავლესობით ნიშნავს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64-ე მუხლის შესაბამისად.

3. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, კონტროლის პალატა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.

4. კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით.

5. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება კანონის შესაბამისად.

## თავი გეგვიძე

სახელმწიფოს თავდაცვა

### მუხლი 98.

1. თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა.
2. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები.
3. სამხედრო ძალების სახეობისა და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რაოდენობას კი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით – პარლამენტი სიითი შემადგენლობის უძრავლესობით.

### მუხლი 99.

1. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.
2. ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

### მუხლი 100.

1. საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სამხედრო ძალთა გამოყენება საგანგებო მდგომარეობის დროს ან საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად.
2. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენების და გადაადგილების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

## მუხლი 101.

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.
2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი.

## თავი მერვე

კონსტიტუციის გადასინჯვა

## მუხლი 102.

1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონ-პროექტის შეტანის უფლება აქვთ:
  - ა) პრეზიდენტს;
  - ბ) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;
  - გ) არანაკლებ 200000 ამორჩეველს.
2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარდგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.
3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.
4. კონსტიტუციის 68-ე მუხლით გათვალისწინებული წესით კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

## მუხლი 103.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

## თავი მასში

გარდამავალი დებულებები

### მუხლი 104.

1. საქართველოს კონსტიტუცია ძალაში შედის საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან.
2. კონსტიტუციის 49-ე, 50-ე და 70-ე მუხლები ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე.

### მუხლი 105.

1. 1995 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელის ინიციატივა დადასტურებულია 50000 ხელმოწერით მაინც, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისათვის.
2. პროპირცული სისტემით არჩევნები ტარდება ერთიანი პარტიული სიით.
3. პოლიტიკურ გაერთიანებას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარადგინოს დეპუტატობის ის კანდიდატიც, რომელიც იმავდროულად მის პარტიულ სიაშია.
4. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ კენჭისყრის მონაწილეობა არანაკლებ ერთი მესამედისა.

5. პირველ ტურში თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს.

6. ეს მუხლი ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

### მუხლი 106.

1. კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფენ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციას, კონსტიტუციასთან და კანონებთან მათ შესაბამისობას.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიღოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები, ან დაადასტუროს ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება.

### მუხლი 107.

1. კონსტიტუციის შესაბამისად სასამართლო წყობილების ორგანული კანონების მიღებამდე ძალაში რჩება სასამართლო წყობილების მოქმედი კანონმდებლობა.

2. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ძალაში შევა შესაბამისი სისხლის სამართლის საპროცესო საკანონმდებლო აქტების მიღების შემდეგ.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი მიღებულ უნდა იქნეს 1996 წლის 1 თებერვლამდე.

### მუხლი 108.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან დაკავშირებით კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტში სათანადო ცვლილებებისა თუ დამატებების შეტანა გამონაკლისის წესით დასაშვებია კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საყოველთაოსახალხო განხილვისათვის გამოქვეყნების გარეშე.

### მუხლი 109.

1. შესაბამისი წესით მიღებულ კონსტიტუციას ხელს აწერს და აქვთებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრები ხელს აწერენ კონსტიტუციის ტექსტს. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში ტექსტი ღიად უნდა



ინახებოდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მინისტრის შენობაში, რათა მოსახლეობა გაეცნოს მის შინაარსს.

### საქართველოს სახელმწიფოს მეთაური

**კლუბი შევარდნეავი.**

თბილისი, 1995 წლის 24 აგვისტო.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

669 “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ”  
საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონი განიხილება მუხლების მიხედვით და მიღება გამარტივებული პროცედურით – ერთი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური

**კლუბი შევარდნეავი.**

თბილისი, 1995 წლის 29 აგვისტო.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

670 “საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ”  
საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

“საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონი განიხილება მუხლების მიხედვით და მიღება გამარტივებული პროცედურით – ერთი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური

**კლუბი შევარდნეავი.**

თბილისი, 1995 წლის 29 აგვისტო.

## გაცემის მარა

### საქართველოს პარლამენტის განცხადება

29 აგვისტოს, როცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური გელაშვილ შევარდნაძე პარლამენტის სხდომის შემდეგ გამოსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებულ ცერემონიაზე მოქართველი, შესრუ მიზდა თავდასხმა – მანქანასთან აფეთქდა ნაღმი. ტერორისტული აქტის შედეგად დაშავდნენ გელაშვილ შევარდნაძე, პარლამენტის წევრები და სახელმწიფოს მეთაურის ამონატის თანამშრომლები.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცნობით მათ სიცოცხლეს საურთხე ამჟამად არ ემუქრება.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ მომსახურო ტერორისტული აქტი თანამდეროვეობის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პიროვნების, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული უმძიმესი დანაშაულია, რომლის ძირითად მიზანს შედგნას ქვეყნაში სტაბილიზაციის პროცესის უკუქცევა, სახელმწიფო წყობილების დამხობა და ქაოსისა და განუეკითხობის დამტკიცება.

პარლამენტი უძიაცრეს პოლიტიკურ შეფასებას აძლევს ტერორიზმთან ბრძოლის ყველა სამსახურის, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტს დაქვემდებარებული სახელმწიფო უშისროვების სამსახურის საქმიანობას და გადაუდებელ აუცილებლობად მიზნებს კარდინალურ ცვლილებებს მის მუშაობაში.

პარლამენტი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ გადაუხვევს დემოკრატიის კურსს და იმ ღირებულებებს, რომლებსაც აღიარებს და აკკოდებს საქართველოს ახალი კონსტიტუცია, არ დაუშვებს პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნების ჩაშლას.

პარლამენტი საღწესა და თითოეულ მოქალაქეს მოუწოდებს შემარჩენონ სიმჭიდე და ხელი შეუწყონ წესრიგის განმტკიცებას სახელმწიფოში.

თბილისი,  
1995 წლის 29 აგვისტო.

## სექტემბერი

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

671 საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ

#### თავი I ზოგადი დებულებები

##### მუხლი 1.

###### არჩევნების საფუძვლები

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული ქენჭის სყრით.

2. საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით. 150 პარლამენტის წევრი აირჩევა ერთიანი პარტიული სიებით პროპორციული სისტემის, ხოლო 85 პარლამენტის წევრი – ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

##### მუხლი 2.

###### საყოველთაო საარჩევნო უფლება

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნები საყოველთაოა: არჩევნის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დროისათვის 18 წელი შეუსრულდა, ხოლო არჩეული შეიძლება რყოს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრიდ არანაკლებ 10 წლისა, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, განათლებისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

### მუხლი 3.

**თანასწორი საარჩევნო უფლება**

საქართველოს პარლამენტში არჩევნები თანასწორია. საქართველოს მოქალაქენი არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

### მუხლი 4.

**პირდაპირი საარჩევნო უფლება**

საქართველოს პარლამენტში არჩევნები პირდაპირია. პარლამენტის წევრების ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

### მუხლი 5.

**ფარული კენჭისყრა**

საქართველოს პარლამენტის არჩევნები ფარული კენჭისყრით ტარდება. დაუშვებელია ამომრჩეველთა ნების გამოვლენისადმი კონტროლი და ხმის ღიად მიცემა.

### მუხლი 6.

**პირები, რომლებიც არჩევნებში**

**არ მონაწილეობენ**

არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელთა აღსრულების დაწესებულებაში.

### მუხლი 7.

**არჩევნების ჩატარება საარჩევნო**

**კომისიების მიერ**

საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფებ საარჩევნო კმიტიში, რომელიც წესი, იქნება კონსოლიდაციის წესით რეგისტრაციული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (ტექსტში შემდგომ “პარტიების”), საზოგადოებრივი გაერთიანებების, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებისა და ამომრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

## მუხლი 8.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში  
მონაწილეობისა და პარლამენტის წევრობის  
განდიდატთა დასახელების უფლება

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით  
რეგისტრირებულ პარტიას, რომლის ინციატივაც დადასტურებულია  
50000 ამომრჩევლის ხელმოწერით მაინც ან რომელსაც ჰყავს წარმო-  
მადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისთვის, მაჟორი-  
ტარული სისტემით არჩევნებში კი – წარდგენის უფლების მქონე პარტიის,  
საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატს, აგრეთვე პირს, რომ-  
ლის წარდგენის ინიციატივა დადასტურებულია 1000 ხელმოწერით მაინც  
ან რომელიც ბოლო არჩევნებში არჩეული იყო პარლამენტის წევრად.

## მუხლი 9.

პარლამენტის წევრის სტატუსის  
შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

1. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა  
სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. იგი არ  
შეიძლება იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით  
ორგანოს წევრი, ეკავოს თანამდებობა სხვა სახელმწიფო ან თვით-  
მმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში.

2. პარლამენტის წევრი არ შეიძლება ეწეოდეს სხვა სამსახურს,  
გარდა სამეცნიერო, პლაგოგიური ან სხვა სახელოვნებო საქმიანობისა,  
თუ ასეთი საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ უზნეცი-  
ებს, აგრეთვე, გარდა პარტიული მოღვაწეობისა.

3. პარლამენტის წევრი მისი უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან  
წყვეტს ამ მუხლით აკრძალულ სამსახურს და თავისუფლდება ადრე  
დაკავებული თანამდებობიდან.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის  
წევრს შეუწყდება უფლებამოსილება საქართველოს კონსტიტუციის  
54-ე მუხლით დადგენილი წესით.

5. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლის ან ვად-  
ადე შეწყვეტის შემთხვევაში, ამ მომენტიდან ერთი თვის განმავლობაში



იგი აღდგენილ უნდა იქნეს აღრე დაკავებულ თანამდებობაზე სახელმ-იურიული სამსახურში საკუთარი განცხადების საფუძველზე ან, თუ ეს შეუძლებელია, უნდა მიეცეს ტოლფასი სამუშაო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი უფლებამოსილების შეწყვეტა დაკავშირებულია სხვა თანამდებობაზე დანიშნასთან ან არჩევასთან.

## მუხლი 10.

### არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფა

პარლამენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად სახელმ-წიფო გაიღებს. ამასთან ერთად, არჩევნებში დამტუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიას, საარჩევნო ბლოკსა და ოლქში წარმოდგენილ კანდიდატს შეუძლია შექმნას საარჩევნო ფონდი, რისთვისაც მათ უფლება აქვთ გამოიყენონ სახელმ-წიფოს მიერ გამოყოფილი თანხა, თავიანთი სახსრები, მხელოდ საქართველოში რეგისტრირებულ არასახაზინო საწარმოთა, საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებათა და საქართველოს მოქალაქეთა შეწირულობანი.

## მუხლი 11.

### პასუხისმგებლობა არჩევნების კანონის დარღვევისათვის

1. ამ საარჩევნო კანონით დადგენილი წესების დამრღვევა პირს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრება სისხლისსამართლებრივი ან აღმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

2. იმ პარტიიებისა და საარჩევნო ბლოკის კანდიდატებს, აგრეთვე ოლქში წარღვენილ კანდიდატებს, რომლებიც გადამეტებენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი საარჩევნო ფონდის ზღვრულ ოდენობას ან კანონით დადგენილ ვადაში არ წარღვენენ არჩევნებისთვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს, ჩამოუკრთმევათ პარლამენტში მათ მიერ მოპოვებული მნიშვნელი და გამოკლებული პარლამენტის წვერების ნაცვლად არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მათ აგრეთვე ეკრძალებათ საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში მონაწილეობა. ასეთი დარღვევების საქმეს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

## თავი II

**არჩევნების დაცივა. არჩევნები  
მონაცილე პარტიებისა და საარჩევნო  
ბლოკების რეგისტრაცია**

### მუხლი 12.

**არჩევნების დანიშვნა**

პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 60 დღისა. ცნობა არჩევნების დღის შესახებ ქვეყნდება ოფიციალურ და ადგილობრივ გაზეთებში არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 2 დღისა.

### მუხლი 13.

**პარტიების საარჩევნო რეგისტრაცია**

არჩევნებში მონაწილეობისა და საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების დანიშვნის უფლების მისაღებად პარტიები რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რისთვისაც არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 50-ე დღისა კომისიას უნდა წარუდგინონ პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადება, რომელმიც მითითებული უნდა იყოს სახელწოდება, რომლითაც პარტია მონაწილეობს არჩევნებში (ეს სახელწოდება არ უნდა ემთხვევად არ ერთგვანებული პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სახელწოდებას). განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-40 დღისა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინონ მის მიერ დადგენილი წესით შევსებული მხარდამჭერთა სიები (ამ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში), საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული რეგისტრაციის მოწმობა კანონმდებლობის შესაბამისად პარტიის რეგისტრაციის შესახებ. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს პარტიის ხელმძღვანელი პირის (პირების) კინობა და პარტიის რწმუნებულის გვარი, სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი. რწმუნებულს ცენტრალური საარჩევნო კომისია აძლევს დათარიღებულ ცნობას განცხ-

ადების მიღების შესახებ.

2. ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულებიდან 6 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია წყვეტს პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის საკითხს და აძლევს სათანადო ცნობას მის რწმუნებულს. რეგისტრაციაში არ გატარდება პარტია, რომლის საქმიანობა შეჩერებულია კანონით დადგენილი წესით.

3. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში პარტიას უფლება აქვს უკის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასჩივროს კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

4. რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან 2 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით აქვენებს რეგისტრირებული პარტიების სიას განცხადების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიათა სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრირებაზე და უარის თქმის მიზეზებს.

## მუხლი 14.

### საარჩევნო ბლოკები და მათი რეგისტრაცია

1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ საარჩევნო ბლოკებად (ბლოკს შეიძლება ეწოდოს სახელი, რომელიც არ უნდა ემთხვეოდეს უფრო აღრე რეგისტრირებული ბლოკის ან პარტიის სახელს; იგი არ შეიძლება შეიცავდეს იმ პარტიის სახელს, რომელიც არ შედის მოცემულ ბლოკში), რომელთა რეგისტრირებაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მთავრდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 25-ე დღისა.

2. კომისიისთვის წარდგენილ სათანადო განცხადებას ხელს აწერს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირი. მასში დასახელებული უნდა იყოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ბლოკის რწმუნებულის ვინაობა, მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი. რწმუნებულს კომისია აძლევს დათარიღებულ ცნობას განცხადების მიღების შესახებ. განცხადებას უნდა ერთვოდეს საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი საარჩევნო

ბლოკის წესდება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საარჩევნო ღირისას-იებებთან დაკავშირებით ბლოკის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, მათ შორის პარლამენტის წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების, ბლოკიდან პარტიის გასვლის, ბლოკში ახალი წევრის მიღებისა და ბლოკიდან პარტიის გარიცხვის წესები; მითითებული უნდა იყოს პირი (პირები), რომელსაც აქვს ბლოკის განცხადებაზე ხელმოწერის უფლება.

3. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციიდან ორი დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურ გაზეთებში, რადიოთა და ტელევიზიით აქვთნებს ცნობას საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციის შესახებ.

4. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვალი წედება ბლოკში გაერთიანებული პარტიების მიერ დანიშნულ საარჩევნო კომისიის წევრთა და რწმუნებულთა უფლებამოსილება. საარჩევნო ბლოკებს უფლება აქთ ყველა საარჩევნო კომისიაში დანიშნონ საარჩევნო კომისიის წევრი და რწმუნებული.

5. საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია არ შეიძლება იმავდროულად გაერთიანებული იყოს სხვა საარჩევნო ბლოკში, ანდა დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში.

### თავი III

#### საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

##### მუხლი 15.

###### საარჩევნო ოლქები

1. პარლამენტის არჩევნებისთვის იქნება 85 კრთმანდატანი ოლქი საქართველოს ჯმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით. ქალაქ თბილისში იქნება 10 ერთმანდატანი საარჩევნო ოლქი.

2. საარჩევნო ოლქების სია ქვეყნდება არჩევნების დანიშვნიდან არა უგიანეს 7 დღისა.

##### მუხლი 16.

###### საარჩევნო უბნები

1. პარლამენტის არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქები იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო



უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლების სათვის არჩევნებამდე არა უგვიანეს 45 დღისა. ძნელად მისადგომ ადგილებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემბზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში – არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

2. საარჩევნო უბნებს ქმნას საოლქო საარჩევნო კომისიები რაიონის (ქალაქის, ქალაქის რაიონის) ტერიტორიაზე მოქმედი ხელისუფლების ან შპართველობის ადგილობრივი ორგანოების წარდგინებითა და მათთან შეთანხმებით. არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემბზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე წესით გემის მიწერის ნაცვადგურის ადგილის მიხედვით. სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში საარჩევნო უბნები იქმნება საქართველოს მთავრობის წარდგინებით. საარჩევნო ოლქისათვის ამ უბნების მიკუთხნების საკითხს წყვეტს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

3. საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ძნელად მისადგომ ადგილებში.

4. საოლქო საარჩევნო კომისია უბნების შექმნიდან 5 დღის ვადაში ადგილობრივ გაზეთებში, ადგილობრივი რადიოთი და ტელევიზიით აქვთნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიებისა და ხმის მისაცემი შენობების მისამართებს.

## თავი IV საარჩევნო კომისიები

### მუხლი 17.

#### საარჩევნო კომისიების სისტემა

პარლამენტის არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

ა) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიები;

გ) საუბნო საარჩევნო კომისიები.

## მუხლი 18.

### საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

1. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არჩეული ან დანიშნული შეიძლება იყოს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

2. საარჩევნო კომისიებში თითო წევრის დანიშნის უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პარტიებს, რომლებმაც ბოლო არჩევნებში მოიპოვეს საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატი. იმ შემთხვევაში, თუ ამ პარტიათაგან რომელიმე გაუქმდა ან ვერ მიიღო მანდატი ახლადარჩეულ პარლამენტში, დანიშნული კომისიის წევრის უფლებამოსილება შეწყდება.

3. საარჩევნო კომისიებში თითო წევრის დანიშნის უფლება აქვთ აგრეთვე კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ არანაკლებ ხუთ პარტიას ერთობლივად, რომელთაც ვერ მოიპოვეს მანდატი ბოლო არჩევნებში. ამ პარტიების ხელმძღვანელთა ხელმოწერით დადასტურებული გადაწყვეტილების თანახმად კომისიის წევრს ნიშნავს ერთ-ერთი პარტიის ხელმძღვანელი. იმ შემთხვევაში, თუ ამ პარტიათაგან რომელიმე გაუქმდა ან არ გატარდა საარჩევნო რეგისტრაციაში, დანიშნული კომისიის წევრის უფლებამოსილება შეწყდება.

4. საარჩევნო კომისიის წევრების დანიშნის უფლების მქონე ორგანოებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ დანიშნონ ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები არჩევნებამდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

5. თუ ერთსა და იმავე კომისიაში თავისი წარმომადგენელი ერთზე მეტმა პარტიულმა ორგანომ დანიშნა, უპირატესობა ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელს ეძლევა.

6. საარჩევნო კომისიის წევრად დანიშნული პირი მის წევრად ჩაითვლება შესაბამის კომისიაში გამოცხადების მომენტიდან.

7. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება დაინიშნონ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოთა წევრები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილები, პარლამენტის წევრობის კანდიდატი სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში, არჩევნებში მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის

რწმუნებული, პარლამენტის წევრობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი.

8. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნის ან წევრის უფლებამოსილება წყდება:

ა) ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-7 პუნქტებით და მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ საუუძველებე;

ბ) გადადგომის შემთხვევაში (განცხადება გადადგომის შესახებ წარედგნება ზემდგომ საარჩევნო კომისიას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირისთვის კი - თვით ამ კომისიას და კმაყოფილდება მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა);

გ) გაწვევის ან უფლებამოსილების ჩამორთმევის შემთხვევაში;

დ) იმ პარტიის აკრძალვის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, რომელმაც დანიშნა კომისიის წევრი;

ე) იმ პარტიათა გაერთიანებისას, რომლებმაც იგი დანიშნეს, თუკი გაერთიანების შედეგად შეიქმნა ახალი პარტია. ასეთ შემთხვევაში გაერთიანების შედეგად შექმნილ პარტიას იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის შემდეგ უფლება აქვს დანიშნოს თითო წევრი ყველა საარჩევნო კომისიაში.

## მუხლი 19.

### საარჩევნო კომისიათა მუშაობის ორგანიზაცია

1. საარჩევნო კომისიების მუშაობის წესი განისაზღვრება ამ კანონითა და კომისიების რეგლამენტით, რომელსაც იღებს ცენტრალური საარჩევნო კომისია დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით.

2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს საარჩევნო კომისია.

3. საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფისას გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. კომისიის შემადგენლობაში შემავალ იმ პირებს, რომლებიც არ ეთანხმებან კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს და განსახილველად ეგზავნება ზემდგომ საარჩევნო კომისიას.



4. საარჩევნო კომისიას წარმოადგენს მისი თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში, თუ კომისიას თავმჯდომარე არა ჰყავს ან მას არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

5. არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფის წევრებს ნიშნავს და მათ შესრულებულ სამუშაოს უნაზღაურებს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

## მუხლი 20.

### საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირის უფლება-მოვალეობანი

1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს მათი უფლებამოსილების მთელი დროის განმავლობაში პარლამენტი უნიშნავს ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამასთან, მათ უნარჩუნდებათ სამუშაო ადგილი, რომელიც დაკავებული ჰქონდათ ზემოაღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნამდე (არჩევამდე).

2. საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ ყველა პირს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მთელი დროის განმავლობაში ედლება უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლება. ამასთან, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემავალ ყველა პირს, საოლქო საარჩევნო კომისიიდან 4 პირს და საუბნო საარჩევნო კომისიიდან 2 პირს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მთელი დროის განმავლობაში, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიიდან დანარჩენ პირებს არჩევნების მომზადების პერიოდის ბოლო 10 დღის განმავლობაში არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან შეიძლება დანიშნოთ ხელფასი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელფასიანი პირების რაოდენობას ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის – საოლქო საარჩევნო კომისია. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირებს ხელფასს უნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირებს

- საოლქო საარჩევნო კომისია. ამასთან, ზემდგომში კომისიამ უნდა გაითვალისწინოს იმ კომისიის წინადაღება, რომლის შემადგენლობაში შემავალ პირებსაც ენიშნებათ ხელფასი. არასამუშაო დროის განმავლობაში კომისიაში შესრულებული სამუშაო ანაზღაურდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან.

3. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემავალ პირებს უფლებამოსილების დანარჩენი დროის განმავლობაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგინებით და საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიძლება დაენიშნოთ ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრალური საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგს კომისიის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

4. საარჩევნო კომისიებისთვის გამოყოფილ სახსრებს კომისიის სახელით განაცემენ და დანიშნულებისამებრ მისი სწორად გამოყენებისათვის პასუხისმგებელი არიან კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი, ხოლო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში — საფინანსო განყოფილების გამგეც.

5. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემავალ პირებს უფლება არა აქვთ არჩევნების დროს მონაწილეობა მიიღონ აგიტაციაში არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

## მუხლი 21.

### საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და არანაკლებ 20 წევრისაგან.

2. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია დანიშნოს კომისიის თავმჯდომარე და ორი წევრი საქართველოს პარლამენტის საერთო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 60 დღისა. იგი თავის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ აქვეყნებს ოფიციალურ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით.

3. კომისიაში თითო პირის დანიშნის უფლება აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს ან მათ პრეზიდიუმებს.



4. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის შემადგენლობა 23-ზე ნაკლებია, აღმოჩნდა და 14 დღის გადაში არ შეიისო, საქართველოს პარლამენტი პირველივე სამუშაო ქვირის განმავლობაში ნიშნავს კომისიის დამატებით წევრებს მისი შემადგენლობის 23-მდე შესავსებად.

5. კომისია უფლებამოსილია თავისი შემადგენლობიდან აირჩიოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი, თუ მის შემადგენლობაში არის 23 წევრი მაინც.

6. ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართს და ტელეფონის ნომრებს აქვეყნებს ოფიციალურ გაზეობში, რადიოთი და ტელევიზიით.

## მუხლი 22.

### ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება

1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობით შექმნადე მისი სხდომები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება სხდომის დღეს კომისიის ფაქტობრივი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისია:

1) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე კონსტიტუციისა და ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მათ ერთგვაროვან გამოყენებას; თავისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით იღებს ინსტრუქციებს საარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის აუცილებელი და ამ კანონით განუსაზღვრელი საკითხების გადასაჭრელად;

2) აუცილებლობის შემთხვევაში, თავისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თავის უფლებამოსილებათა ნაწილს, წინასწარ განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად, გადასცემს შექმნილ ჯგუფს;

3) ქმნის საარჩევნო ოლქებს; ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებსა და ორ-ორ წევრს, საჭიროების შემთხვევაში – კომისიის დამატებით წევრებს; აქვეყნებს კომისიების შემადგენლობას და მათ მისამართებს;

4) წყვეტს საარჩევნო ოლქისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ შექმნილი საარჩევნო უბნების მიწერის საკითხს;



- 5) აქვეყნებს საარჩევნო ღონისძიებათა დაწყებისა და დამთავრების  
თარიღებს;
- 6) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და  
საარჩევნო ბლოკებს;
- 7) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე  
პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს ცენტრალურ საარჩევნო  
კომისიაში და აძლევს მათ სათანადო მოწმობას;
- 8) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე  
პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების პარტიულ სიებს; აძლევს სათანა-  
დო მოწმობას პარლამენტის წევრობის კანდიდატს;
- 9) წარმართავს საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათ ინ-  
ფორმაციას;
- 10) ამოწმებს საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებათა კანონიერე-  
ბას, საჭიროების შემთხვევაში აუქმებს მათ და იღებს საბოლოო გადა-  
წყვეტილებას; საგანგებო შემთხვევაში, თავისი შემადგენლობის ორი  
მესამედის უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებას ქვემდგომი საარჩევნო  
კომისიის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ცენტრალური საარჩევნო  
კომისიის მიერ შექმნილი ჯგუფისათვის ამ კომისიის უფლებამოსილებ-  
ის გადაცემის შესახებ;
- 11) აღგენს არჩევნებთან დაკავშირებული ზარჯების განაწილებისა და  
გამოყენების წესს; უნაწილებს ფულად სახსრებს საოლქო საარჩევნო  
კომისიებს და არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლო-  
კებს; კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შე-  
ნობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს არჩევნების  
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;
- 12) აღგენს საარჩევნო ღორიზონტების ფორმას, საარჩევნო ყუთისა და  
საარჩევნო კომისიათა ბეჭდების ნიმუშებს, საარჩევნო ღორიზონტების  
შენახვის წესს;
- 13) იღებს ზომებს საარჩევნო კამპანიაში პარტიებისა და საარჩევნო  
ბლოკების, პარლამენტის წევრობის კანდიდატების მონაწილეობის თანა-  
ბარი პირობების უზრუნველსაყოფად;
- 14) განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიაში მასობრივი ინფორმაციის  
საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესს ამ კანონისა  
და საქართველოს სხვა კანონების შესაბამისად და აკონტროლებს მის  
შესრულებას;



15) განსაზღვრავს საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და მაშავერის ავტონომიური ორებულიკების სამინისტროების, სახელმწიფო უწყებების, სხვა სახელმწიფო და სამინისტროების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ისმენს მათ ინფორმაციას;

16) ამტკიცებს საარჩევნო ბიულეტენების ტექსტებს, უზრუნველყოფს მათ დამზადებასა და ბიულეტენებით საოლქო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

17) ადგენს არჩევნების შედეგებს პარტიული სიების მიხედვით, აჯამებს რესპუბლიკაში არჩევნების შედეგებს; არჩევნების შედეგების შეჯამებიდან არა უგვიანეს 5 დღისა პრესაში აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ და საქართველოს პარლამენტში არჩეული პარლამენტის წევრების სიას; რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ პარლამენტის წევრს და აძლევს მას სათანადო მოწმობას;

18) გადასცემს საქართველოს პარლამენტის სამანდატო კომისიას პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

19) საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ხმის მიცემა ბათილად იქნა ცნობილი;

20) პარტიული სიით არჩეული პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში ადგენს მის ადგილმონაცვლეს ამ კანონის შესაბამისად, რეგისტრაციაში ატარებს და სათანადო მოწმობას აძლევს მას და საქართველოს პარლამენტის სამანდატო კომისიას გადასცემს არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

21) ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში საარჩევნო ოლქში ნიშნავს არჩევნებს და უზრუნველყოფს მის ჩატარებას;

22) განიხილავს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;

23) გამონაკლის შემთხვევაში, თუ შეუძლებელია კონსტიტუციითა და ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულება, ადგენს საარჩევნო ოლქში საარჩევნო ღონისძიებათა ახალ ვადებს, თავისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ნიშნავს არჩევნების

ჩატარების ახალ თარიღს ამ ოლქში;

24) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონისა და საქართველოს სხვა კანონების შესაბამისად.

## მუხლი 23.

### საოლქო საარჩევნო კომისია

1. საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და არანაკლებ 4 წევრისაგან.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და ორ წევრს. ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურ გაზეთებში აქვეყნებს კომისიების ადგილსამყოფელსა და ტელეფონის ნომრებს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-60 დღისა.

3. თუ კომისიის შემადგენლობაში 7 პირზე ნაკლები აღმოჩნდა, ცენტრალური საარჩევნო კომისია 30 დღის ვადაში ნიშნავს კომისიის დამატებით წევრებს მისი შემადგენლობის 7-მდე შესავსებად, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

4. კომისია, შექმნიდან 4 დღის ვადაში, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივნს.

5. საოლქო საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართსა და ტელეფონის ნომრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებს შესაბამის ადგილობრივ გაზეთებში.

## მუხლი 24.

### საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება საოლქო საარჩევნო კომისია:

1) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს კონსტიტუციისა და ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მათ ერთგვაროვან გამოყენებას საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე;

2) ქმნის საარჩევნო უბნებს და აქვეყნებს მათ სიებს;

3) ნიშნავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და ორ წევრს,



საჭიროების შემთხვევაში – კომისიის დამატებით წევრებს; პენსიუნებულ საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობასა და მათ მისამართებს;

4) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათ ინფორმაციას;

5) ნიშავს საოლქო საარჩევნო კომისიის ბუღალტებს; უნაწილებს ფულად სახსრებს საუბნო საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს საუბნო საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირებამულობით და განიხილავს საარჩევნო ოლქში არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

6) რეგისტრაციაში ატარებს ოლქში წარდგენილ კანდიდატებს, აძლევს მათ სათანადო მოწმობას, უნაწილებს ფულად სახსრებს;

7) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს მოცემულ საარჩევნო ოლქში, აძლევს მათ სათანადო მოწმობას;

8) ზომებს იღებს საარჩევნო კამპანიაში პარლამენტის წევრობის კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მონაწილეობის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად; უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას ოლქში რეგისტრირებული პარლამენტის წევრობის კანდიდატების სიებით, მათი ბიოგრაფიული მონაცემებითა და წინასაარჩევნო პროგრამების ძირითადი დებულებებით;

9) თვალყურს ადევნებს მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მიერ ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებას;

10) ისმენს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა, სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციას არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

11) ხელ უწყობს ამომრჩევლებს პარლამენტის წევრობის კანდიდატებთან და პარლამენტის წევრობის კანდიდატებს ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობაში;

12) უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიების მომარავებას;

13) ადგენს და ადგილობრივ პრესაში აქვეყნებს საარჩევნო ოლქში ამომრჩევლოთა, არჩევნებში მონაწილეთა და კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვს, არჩევნების საბოლოო შედეგს;

- 14) საჭიროების შემთხვევაში აწყობს ხელახალ ხმის მიცემას იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ხმის მიცემა ბათილად იქნა ცნობილი;
- 15) აწყობს არჩევნებს საარჩევნო ოლქში გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად;
- 16) განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;
- 17) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

## მუხლი 25.

### საუბნო საარჩევნო კომისიები

1. საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომრის, მისი მოადგილის, მდივნისა და, როგორც წესი, სულ ცოტა ორი წევრისაგან არჩევნებამდე არა უგვიანეს 35-ე დღისა, ხოლო ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში — არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-3 დღისა. კომისიის შემადგენლობის მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია და აქვეყნებს ადგილობრივ პრესაში საარჩევნო უბნების შესახებ მონაცემების გამოქვეყნებასთან ერთად.
2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და ორ წევრს ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისია.
3. თუ არჩევნებამდე 35-ე დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა დადგენილზე ნაკლები აღმოჩნდა, საოლქო საარჩევნო კომისია მისი შემადგენლობის შესავსებად 3 დღის ვადაში ნიშნავს კომისიის დამატებით წევრებს.
4. კომისია, შექმნიდან 2 დღის ვადაში, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს და დაუყოვნებლივ ატყობინებს საოლქო საარჩევნო კომისიას.
5. საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა მთავრდება არჩევნების დამთავრებისთანავე.
6. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, მისამართსა და ტელეფონის ნომრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებს ადგილობრივ გაზეთებში.

## მუხლი 26.

საუბნო საარჩევნო კომისიის

### უფლებამოსილება

საუბნო საარჩევნო კომისია:

- 1) ადგენს საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიებს;
- 2) ამომრჩევლებს აცნობს ამომრჩეველთა სიებს, იღებს და იზიდავს განცხადებებს სიებში შეცდომის შესახებ და წყვეტის მათში სათანადო ცვლილებათა შეტანის საკითხს;
- 3) ამომრჩევლებს აძლევს ამომრჩევლის ბარათსა და მოთხოვნისას – ხმის მიცემის უფლების მოწმობას;
- 4) მოსახლეობას აუწევს საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების თარიღსა და ხმის მისაცემ ადგილს;
- 5) უზრუნველყოფს ხმის მისაცემად შენობის, საარჩევნო ყუთებისა და კაბინების, საინფორმაციო სტენდების მომზადებას;
- 6) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;
- 7) ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა, არჩევნებში მონაწილეთა და ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს, პარლამენტის წევრობის ყოველი კანდიდატისა და ყოველი პარტიული სიისთვის მიცემული ხმების რაოდენობას;
- 8) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს;
- 9) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

## მუხლი 27.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალი  
პირების დანიშვნისა და წარდგენის წესი

1. საარჩევნო კომისიებში კანდიდატურების წარდგენის უფლება აქვთ:
  - ა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ საზოგადოებრივ გაერთიანებას;
  - ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივ

### ორგანოს;

გ) ამომრჩევლებს შესაბამის საარჩევნო კომისიაში განცხადების წარდგნის გზით – საოლქო საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის საარჩევნო ოლქში მცხოვრები სულ ცოტა 50 ამომრჩეველი და სუბნო საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის ოლქში მცხოვრები სულ ცოტა 10 ამომრჩეველი.

2. საარჩევნო კომისიაში წევრად წარდგენისა თუ დანიშნისას სათანადო ორგანოს და შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საარჩევნო კომისიაში წარდგენილი (დანიშნული) პირის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი (ტექსტში შემდგომ “ვინაობა და მისამართი”). ამ მუხლის პირველი პუნქტის “გ” ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში განცხადებაში მითითებული უნდა იყოს განცხადებელთა სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, ბინის მისამართი, ხელმოწერის თარიღი, ხელმოწერა.

### მუხლი 28.

#### საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შეცვლის წესი

1. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირი კომისიაში თავისი მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფლდება ამ კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ საფუძველზე.

2. კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირის გაწვევის უფლება აქვს მას, ვინც დანიშნა იგი კომისიაში.

3. კომისიაში შემავალი პირისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის უფლება აქვს ზემდგომ საარჩევნო კომისიას (ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემავალი პირისათვის კი – თვით ამ კომისიას) ამ პირის მიერ პარლამენტის არჩევნების კანონის უხეშად ან საარჩევნო კომისიის რეგლამენტის სისტემატურად დარღვევისას. უფლებამოსილების ჩამორთმევის საკითხი წყდება კომისიის სხდომაზე მისი სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში ეს პირი პარლამენტის მომდევნო არჩევნებამდე ვეღარ დაინიშნება საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავისი მოვალეობის

შესრულებისაგან კომისიაში შემავალი პირის განთავისუფლებისას ან  
მისი გარდაცვალებისას კომისიაში ახალ პირს ნებისმიერ დროს ნიშნავს  
ის ორგანო ან ორგანიზაცია, რომელსაც დანიშნული ჰყავდა კომისიიდან  
გამოკლებული პირი, აგრეთვე ზემდგომი საარჩევნო კომისია, თუ მოცემული  
კომისიის შემადგენლობა დადგენილზე ნაკლები აღმოჩნდა. იმ შემთხვევა-  
ში, თუ მოცემულ საარჩევნო ოლქში არჩევნებამდე დარჩენილია არა  
უმეტეს 30 დღისა, საოლქო საარჩევნო კომისიაში ახალი პირი უნდა დაინიშნოს  
10 დღის ვადაში; თუ დარჩენილია არა უმეტეს 15 დღისა, საუბნო  
საარჩევნო კომისიაში ახალი პირი უნდა დაინიშნოს 5 დღის ვადაში.

## მუხლი 29.

**საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა მათი  
უფლებამოსილების განხორციელებაში**

1. საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებათა შესრულება თავისი  
კომპეტენციის ფარგლებში სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგა-  
ნოს, საწარმოსა და დაწესებულების, თანამდებობის პირებისა და სა-  
ხელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებე-  
ბისათვის.

2. საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებანი და მოქმედება შეიძლება  
გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ კანონით გათვა-  
ლისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოშიც.

## მუხლი 30.

**არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები,  
საარჩევნო ფონდი**

1. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების სავარაუდო ოდენობას გან-  
საზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და ამტკი-  
ცებს საქართველოს პრეზიდენტი. ხარჯების ფაქტობრივ ოდენობას  
არჩევნების დამთავრებიდან ორი თვის ვადაში ადგენს საქართველოს  
ცენტრალური საარჩევნო კომისია. არჩევნების დამთავრების შემდეგ მას  
ამტკიცებს ახლადარჩეული პარლამენტი.

2. პარლამენტის არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის ცენ-  
ტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული და საქართველოს



პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული თანხის გამოყოფასა და კომისიის ანგარიშზე მის ჩარიცხვას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

3. საარჩევნო კომისიების დაფინანსება ხდება მხოლოდ სახელმწიფო ხარჯით.

4. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და ოლქში წარდგნილი კანდიდატის საარჩევნო კომისიისათვის საარჩევნო ფონდიდან დახარჯული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ოდენობას (პარტიისა და ბლოკისთვის დადგენილი თანხის ოდენობა ტოლია მათ მიერ დასახელებული კანდიდატების რაოდენობის ნამრავლისა დამოუკიდებელი კანდიდატი-სათვის დადგენილი თანხის ოდენობაზე). საარჩევნო ფონდს განაგებს მისი გამგება ფონდის გამგებლის, ბუღალტრისა და მოლარის შემადგენლობით, რომელთაც ნიშნავს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელი პირი, საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების ხელმძღვანელი პირები, პარლამენტის წევრობის დამოუკიდებელი კანდიდატი. საარჩევნო ფონდის გამგებელი პასუხისმგებელია ფონდის მიზნობრივი გამოყენებისათვის.

5. საარჩევნო ფონდისთვის განკუთვნილი თანხა ჩაირიცხება არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ოლქში წარდგენილი კანდიდატის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რომელიც იხსნება საქართველოს ბანკებში (მათ შესაბამის განყოფილებებში) ცენტრალურ (საოლქო) საარჩევნო კომისიაში მათი რეგისტრირების შემდეგ. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა აღნიშნულ ანგარიშზე ჩაირიცხება არჩევნებამდე არა უგვიანეს 25 დღისა.

6. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა. საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილი თანხა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მათ მიმდინარე ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა. საარჩევნო კომისიისთვის გამოყოფილ სახსრებს კომისიის სახელით განაგებენ და დანიშნულებისამებრ მისი სწორად გამოყენებისათვის პასუხისმგებელი და ანგარიშსწავლდებული არიან კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი. საოლქო საარჩევნო კომისიები არჩევნებიდან არა უგვიანეს 50-ე დღისა წყვეტენ ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ

პირებთან და ამის შემდეგ 10 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე ჩაირიცხავენ თავიანთ ანგარიშებზე არსებულ ნაშთს, ხოლო ორი კვირის ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენენ ანგარიშს მის მიერ დადგენილი ფორმით.

7. პარლამენტის არჩევნებიდან არა უგვიანეს 30 დღისა წყდება ყოველ-გვარი ანგარიშსწორება საარჩევნო ფონდებიდან და ოლქმი წარდგენილი კანდიდატის საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე. ამასთან, თუ პარტიის, საარჩევნო ბლოკის ერთი კანდიდატი მაინც იქნა არჩეული პარლამენტის წევრად, მისი უფლება-მოსილების ცნობის შემდეგ პარტიის საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება პარტიის ანგარიშზე, საარჩევნო ბლოკისა – თანაბრად მასში შემავალი პარტიების ანგარიშებზე; წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა ჩაირიცხება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე.

8. არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ორი თვისა ცენტრალური საარჩევნო კომისია აქვეყნებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და პარლამენტის წევრებად არჩეული დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს. ეს ანგარიში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინება მის მიერვე დადგენილი ფორმით. მას უნდა ერთოვდეს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების დასკვნა. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და პარლამენტის წევრებად არჩეული ოლქში წარდგენილი კანდიდატების მიერ საარჩევნო ფონდების გამოყენების მართლზომიერებას აკონტროლებენ საქართველოს კონტროლის პალატა, ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები, ქვემდებრი საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების მომზადება და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯებისას – ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ამ უკანასკნელისას – პარლამენტი და საქართველოს კონტროლის პალატა.

9. სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები საარჩევნო კომისიების განკარგულებაში უფასოდ გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობას. სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მასობრივი ინფორმაციის ის საშუალებები, რომელთა ჩუსხასაც დადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია, უფასოდ აქვეყ-



ნებენ საარჩევნო კომისიების მიერ წარდგნილ მასალებს, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და პარ-ლამენტის წევრობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებსა და სხვა მასალებს ამ კანონით დადგენილ ფარგლებში.

### მუხლი 31.

#### საარჩევნო კომისიების მუშაობის საჯაროობა

1. საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს შესაბამის საარჩევნო ოლქში, პარ-ლამენტის წევრობის კანდიდატის ნიღობით აღჭურვილ პირს, კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული იმ პარტიების თითო წარმომად-გენელს, რომლებსაც შესაბამის კომისიაში არ დაუნიშნავთ კომისიის წევრი, საზოგადოებრივი გაერთიანებების თითო წარმომადგენელს, პრე-სის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, მეთვალყურეებს სხვა სახელმწიფოებრივად და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობებში, საარჩევნო ყუთების დალუ-ქვიდან არჩევნების შედეგების შევამების დამთავრებამდე, — პარლამენ-ტის წევრობის კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ დანიშნულ თითო მეთვალყურესაც.

2. პარტიის, საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენლის უფლე-ბამოსილება დადასტურებული უნდა იყოს ამ გაერთიანების ხელმძღვა-ნელი პირის ხელმოწერილი წარდგინებით, ხოლო მეთვალყურისა — პარლამენტის წევრობის კანდიდატის, პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულის წარდგინებით. წარდგინება შესაბამის საარჩევნო კომი-სიას უნდა გადაეცეს სხდომამდე არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო უბანში არჩევნებზე დასასწრებად წარდგინება საუბრო საარჩევნო კომი-სიას უნდა გადაეცეს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავ-ლობაში. უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია იძლევა დასა-ბუთებულ წერილობით პასუხს, რომლის გასაჩივრებაც შეიძლება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ პარლამენტის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას. მათვების გარან-

ტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე. საარჩევნო კომისიები, არჩევნებში მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები აწვდიან მათ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

4. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საშუალება ეძღვევა ყოველდღიურად საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით, ხოლო საოლქო და რაიონულ საარჩევნო კომისიებს — ადგილობრივი ქსელით, უფასოდ გადასცენ ოპერატიული ინფორმაცია. ინფორმაციას გადასცემს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან კომისიის მიერ ამ მიზნით შერჩეული პირი.

5. საარჩევნო კომისიები მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სისტემატურად აქცენტზე მოვცალურ გაზიუმში, რადიოთი და ტელევიზიით.

## თავი V

### ამომრჩეველთა სია. ამომრჩევლის ბარათი და ხაის მიცხაის უფლების მომზადება

#### მუხლი 32.

##### ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი

1. ამომრჩეველთა სია დგება ორ ცალად თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის შედგენისათვის საარჩევნო კომისიას შეუძლია მიიწვიოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

2. სახელმწიფო ხელისუფლების, ივითამართულყობისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს მათ ქვემდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

3. სიაში შეაქვთ ამომრჩევლის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი.

4. ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნების მიხედვით, რომელიც შექმნილია სავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე



და სახელმწიფოს უარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სახელმწიფოსა და წესებულებებში ადგენენ აღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და გემბის კაპიტნების მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძვლზე.

### მუხლი 33.

ამომრჩეველთა სიაში მოქალაქეთა

შეტანის წესი

1. ამომრჩეველთა სიაში შეაჭვთ საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება და რომელიც სიის შედგენის მომენტისათვის მუდმივად ცხოვრობს მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, აგრეთვე იძულებით გადაადგილებულნი (ლტოლვილნი) მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; მათთვის დგება ცალკე სიადა ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ ერთმანდატიანი ოლქის არჩევნებში.

2. ამომრჩეველი შეტანილ უნდა იქნეს ამომრჩეველთა მხოლოდ ერთ სიაში.

### მუხლი 34.

მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების  
გაცნობა, ამომრჩევლის ბარათების დარიგება  
და ამომრჩეველთა სიაში უსწორობის  
გასაჩივრების უფლება

1. ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის საარჩევნო უბანში გამოიკვრება არჩევნებამდე 10 დღით ადრე, ხოლო იმ საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში – არჩევნებამდე 3 დღით ადრე.

2. საუბნო საარჩევნო კომისიები ამომრჩევლებს ურიგებენ ამომრჩევლის ბარათს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამომრჩევლის სახელი და გვარი, ამომრჩეველთა სიაში რიგითი ნომერი, საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი.

3. ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უზუსტობისანი. სიაში უზუსტობის დაშვების შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებუ-

ლია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს – დაუყოვნებლივ განიხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომელიც მოვალეა სამი დღის ვადაში განიხილოს საჩივარი. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

### მუხლი 35.

#### ხმის მიცემის უფლების მოწმობა. ამომრჩეველთა დამატებითი სია

1. თუ ამომრჩეველმა სახელმწიფოს, ოღონდ არა ერთი და იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში ადგილსამყოფელი შეიცვალა ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან კენჭისყრის დაწყებამდე, საუბრო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და წარდგენილი პასპორტის ან მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთის საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას, რის შემდეგაც იგი ამოღებული იქნება ამომრჩეველთა სიიდან. მოწმობის მიღებას და სიიდან თავის ამოღებას ამომრჩეველი სიაში ხელმოწერით ადასტურებს.

2. ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ დამატებით სიაში საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

3. ამომრჩეველი, რომელიც კენჭისყრაში მონაწილეობს ხმის მიცემის მოწმობის საფუძველზე სხვა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, მონაწილეობას არ იღებს ამ ერთმანდატიან ოლქში წარდგენილი კანდიდატების არჩევნებში და შესაბამისი საარჩევნო ბიულეტენი მას არ მიცემა.

თავი VI.

პარლამენტის წევრობის კანდიდატთა  
წარდგენა, მათი რეგისტრაცია და  
საარჩევნო ბიულეტენი

მუხლი 36.

პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსის  
შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარე-  
ობასთან

საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობის წევრები, სახელმწიფო უწყება-  
თა ხელმძღვანელები და მათი მოადგილები, საქართველოს პრეზიდენტისა  
და პარლამენტის ასარატების უფროსები, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის  
ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა ხელ-  
მძღვანელები და მათი მოადგილები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავ-  
დაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ოფი-  
ცრები, მოსამართლები, პროკურორები, მათი მოადგილები, თანაშემწევები  
და გამომძიებლები არ შეიძლება წარდგენილ იქნენ პარლამენტის წევრო-  
ბის კანდიდატად, თუ რეგისტრაციამდე განთავისუფლებული არ იქნებიან  
დაკავებული თანამდებობიდან.

მუხლი 37.

პარტიული სიების წარდგენა

1. პარტიული სიების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდე-  
ბლად მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს.

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო  
ბლოკს უფლება აქვს წარადგინოს თითო პარტიული სია. წარდგენილ  
სიაში პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს  
100-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს რიცხვს, რომელიც ტოლია  
ერთმანდატიან ოლქებში პარტიის, ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატე-  
ბის რაოდენობისა და 150-ის ჯამისა.

3. დაუშვებელია პარტიულ სიაში იმ პირთა შეყვანა, რომლებიც იმავდროუ-  
ლად არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრები არიან, გარდა ერთ



საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიებისა. დაუშვებელია ერთობლივი მიავე პიროვნების შეყვანა სხვადასხვა პარტიულ სიაში.

4. პარტიული სიების შედეგენის წესს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები. სია შედეგენილი უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნების შედეგად პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება სიის დასაწყისისძან რიგის მიხედვით.

5. პარტიულ სიაში მითითებული უნდა იყოს ყოველი კანდიდატის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია და საქმიანობა, პარტიულობა. იგი დამოწმებული უნდა იყოს არჩევნებში დამოკიდებულად მონაცილე პარტიის ხელმძღვანელი პარტიის, ხოლო საარჩევნო ბლოკის პარტიული სია - ბლოკში გაფრთხილებული ჯელა პარტიის ხელმძღვანელი პარტიის ხელმიწურით.

6. პარტიული სიები უნდა წარედგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების დანიშნის შემდეგ არჩევნებამდე არა უგვიანეს 30-ე დღისა. სიებს უნდა ერთვოდეს ყოველი პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ ხელმძღვანელი სააღრიცხვო ბარათი, რომელშიც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს, რომ იგი თანახმა კენჭი იყაროს მოცემული სიით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი წარდგენილია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში – თანხმობა კენჭი იყაროს ამ ოლქშიც, როგორც მისი წარმდგენი პარტიის, საარჩევნო ბლოკის კანდიდატმა (სააღრიცხვო ბარათებს პარტიის რწმუნებულს წინასწარ გადასცემს ცენტრალური საარჩევნო კომისია). საბუთების მიღებისთანავე პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს ეძღვა დათარიღებული ცნობა საბუთების მიღების შესახებ.

## მუხლი 38.

### საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენა

1. საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვს არჩევნებში დამოკიდებულად მონაცილე პარტიის, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა არანაკლებ ხუთკაციან საინიციატივო ჯგუფს. ყოველ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს საარჩევნო ოლქში წარადგინოს პარლამენტის წევრობის ერთი კანდიდატი, თუ მას მხარს უჭერს შესაბამისი საარჩევნო ოლქის არანაკლებ 1000 ამომრჩევლისა, გარდა მე-8 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. პარლამენტის წევრობის კანდიდატად ერთი და იმავე პიროვნების

წარდგენა შეიძლება მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

3. ამომრჩეველთა მიერ კანდიდატის წარდგენის მიზნით ამომრჩეველთა საინიციტოვო ჯგუფმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს ამომრჩეველთა ჯგუფის ყველა წევრი და მასში მითითებული უნდა იყოს მათი ვინაობა და მისამართი, აგრეთვე პარლამენტის წევრობის კანდიდატის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია და საქმიანობა, პარტიულობა, საარჩევნო ოლქის ნომერი, რომელშიც იგია წარდგენილი. განცხადებას უნდა ერთვოდეს პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი (ორ ცალად), რომელშიც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს, რომ იგი თანახმა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში (სააღრიცხვო ბარათებს საინიციტოვო ჯგუფს წინასწარ გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისია). ერთ შევსებულ სააღრიცხვო ბარათს საოლქო საარჩევნო კომისია გადასცემს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს 45-ე დღისა.

4. საბუთების მიღებისთანავე ამომრჩეველთა ჯგუფს ეძლევა დათარიღებული ცნობა საბუთების მიღებისა და მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების უფლების შესახებ, აგრეთვე ხელმოწერათა ბლანკები.

5. ხელმოწერათა შევსებული და გადანომრილი ბლანკები ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადებასთან ერთად, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ხელმოწერების ბლანკებისა და ხელმოწერ ამომრჩეველთა სრული რაოდენობა, არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-40 დღისა უნდა წარდგინოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

6. ზემოთ აღნიშნული საბუთების მიღებისთანავე ამომრჩეველთა ჯგუფს ეძლევა ცნობა პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. ცნობაში უნდა აღინიშნოს საბუთების მიღების თარიღი.

## მუხლი 39.

არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერთა  
 და პარლამენტის წევრობის კანდიდატის  
 მხარდამჭერთა სიები და მათი შემოწმება

1. არჩევნებში პარტიის მონაწილეობისა და საარჩევნო ოლქში წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატის მხარდაჭერა ამ საარჩევნო

ოლქის ამომრჩევლებმა ხელმოწერების ბლანკზე ხელმოწერით უძღვითი დაადასტურონ.

2. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით ამოწმებენ ხელმოწერათა ნაძღვილობას. ბათილად მიიჩნევა იმ ბლანკზე შესრულებული ყველა ხელმოწერა, რომელიც დადგენილი წესით არ არის დადასტურებული ხელმოწერების შემგროვებლის მიერ, აგრეთვე ის ხელმოწერები, რომელთაც არ ახლავს ხელმოწერების ბლანკით გათვალისწინებული სხვა მონაცემები ან ეს მონაცემები არასწორია. ბათილად მიიჩნევა მოტყუებით, მუქარით ან ძალდატანებით შესრულებული ხელმოწერა, თუ ეს წერილობით დაადასტურა თვით ამომრჩეველმა. არჩევნებში პარტიის მონაწილეობის შხარდამჭერთა სიები შემოწმდება და მათ შესახებ გადაწყვეტილება მიიღება თოთხმეტი დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნებამდე 34-ე დღისა. ხელმოწერათა ნაძღვილობის შემოწმება და მათ შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება მთავრდება ოლქში წარდგენილ კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის დამთავრების წინა დღეს. თუ შემოწმების შედეგად პარტიის შხარდამჭერთა სიაში ნაძღვილ ხელმოწერათა რაოდენობა 50000-ზე, ხოლო პარლამენტის წევრობის კანდიდატის შხარდამჭერთა სიაში 1000-ზე ნაკლები აღმოჩნდა, პარტია და კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდებიან.

3. შხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო კომისიების წევრებსა და, საჩივრის შეტანის შემთხვევაში, სასამართლოს. შხარდამჭერთა სიები ნადგურდება არჩევნებამდე არა უფასოს 20 დღისა.

## მუხლი 40.

### პარტიული სიების, პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია

1. პარტიულ სიას რეგისტრაციაში ატარებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას, პარტიიების მიერ შესაბამის საარჩევნო ოლქში წარდგენილ პარლამენტის წევრობის კანდიდატთა სიებს. დამოუკიდებელ კანდიდატს რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს რეგისტრაციის ოქმებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. პარტიული სიებისა და პარლამენტის წევრობის

კანდიდატების რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე არა უგვიანეს  
25-ე დღისა.

2. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს უზენაესი სასამართლო გაუქმებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას პარტიის, საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, მათვის პარტიიული სიების რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი დღით.

3. პარტიიული სიებისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატების რეგისტრაციის საკითხი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილია ამ კანონის 37-ე, 38-ე და 39-ე მუხლებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი.

4. პარლამენტის წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო თუ რეგისტრირებულია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებიდან მოისხნება, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი დოკუმენტები არ აქმაყოფილებენ ამ კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, კერძოდ, თუ არასწორი ან არასრულია მათში მოყვანილი მონაცემები, თუ ერთდროულად არსებობს ან არსებობდა ერთი და იმავე პიროვნების თანხმობა პრეზიდენტობის კანდიდატად, თვითმმართველობის არჩევნებში და პარლამენტის წევრობის კანდიდატად კენჭისყრაზე, ან სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანების, საარჩევნო ბლოკის პარტიიული სიით კენჭისყრაზე, ან სხვადასხვა საარჩევნო ოლქში კენჭისყრაზე, ან პარტიიული სიითა და ამომრჩეველთა მიერ წარდგენილ კანდიდატად კენჭისყრაზე.

5. პარტიიული სიის რეგისტრაცია გაუქმდება, თუ საარჩევნო ოლქში წარდგენილ სიაში არჩევნების დღის წინა დღის 12 საათამდე კანდიდატთა რაოდენობა 37-ე მუხლით დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება.

6. ოლქში წარდგენილი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების ან არჩევნებიდან რაიმე სხვა მიზეზით გამოკლების შემთხვევაში, ოლქში წარდგენილი დარჩენილი კანდიდატები საარჩევნო ბიულეტენში ინარჩუნებენ წილისყრით მიერთვნებულ რიგით ნომერს.

7. რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში პარლამენტის წევრობის კანდიდატებად წარდგენილ პირებს, პარტიიული სიის წარმდგენი პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უფლება აქვთ უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასაჩივრონ საოლქო საარჩევნო კო-



მისიის გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ზოდებულის უკანასკნელისა – საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში.

8. რეგისტრირებულ პარტიულ სიებს ოფიციალურ გაზეობში აქვეყნებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ოლქში წარდგენილ კანდიდატთა გვარებს იმ მონაცემებითურთ, რომლებიც შეიტანება საარჩევნო ბიულეტენში, აქვეყნებენ საოლქო საარჩევნო კომისიები არჩევნებამდე არა უგვანეს მე-15 დღისა.

9. ოლქში წარდგენილი კანდიდატებისა და პარტიული სიების რიგითობას რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ წილისყრით ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

## მუხლი 41.

**პარლამენტის წევრობის კანდიდატად წარდგენის  
შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება.**

**პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიერ  
თავისი კანდიდატურის მოხსნა**

1. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს კენჭისყრის წინა დღის 12 საათამდე ანდა არჩეული პარლამენტის წევრების რეგისტრაციის შემდეგ გააუქმოს თავის გადაწყვეტილება პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეწყდება ამ სიით არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილება უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობამდე. მისი კანდიდატურა მოიხსნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელის (საარჩევნო ბლოკის წესდებითა და განცხადებით განსაზღვრული პირის) მიერ ხელმოწერილი განცხადების საფუძველზე.

2. ოლქში წარდგენილ კანდიდატს შეუძლია კენჭისყრის წინა დღის 12 საათამდე მოხსნას თავისი კანდიდატურა საარჩევნო ოლქში, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ცენტრალურ

საარჩევნო კომისიას. პარტიული სიით წარდგენილ კანდიდატს შეუძლია ნებისმიერ დროს მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ასეთ შემთხვევაში მისი კანდიდატურა მოიხსნება საარჩევნო ოლქიდან.

3. ინფორმაციას ზემოთ აღნიშნულის შესახებ საარჩევნო კომისია აქვეყნებს განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში, ხოლო თუ არჩევნებამდე ოთხ დღეზე ნაკლებია დარჩენილი, - დაუყოვნებლივ.

## მუხლი 42.

### საარჩევნო ბიულეტენები

1. არჩევნებისათვის შანდლია ორ სხვადასხვა ფერის საარჩევნო ბიულეტენი.

ა) ერთში შეაქვთ სახელწოდება, რომლითაც პარტია, საარჩევნო ბლოკი მონაწილეობს არჩევნებში (სახელწოდების შემდეგ მითითებული უნდა იყოს თვით პარტიის სახელწოდება, ხოლო ბლოკისათვის - მასში გაერთიანებულ პარტიათა სახელწოდებები), იმ თანამიმდევრობით, რომელიც წილისყრით განსაზღვრა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიაში;

ბ) მეორე ბიულეტენში შეაქვთ შემდეგი მონაცემები: საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება; პარლამენტის წევრობის კანდიდატთა გვარი, სახელი, დაბადების წელი, პროფესია და საქმიანობა, პარტიულობა; კანდიდატის წარმდგენი პარტიის, საარჩევნო ბლოკის სახელწოდება; თუ კანდიდატი წარდგენილია ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ, დაიწერება “წარდგენილია ამომრჩეველთა მიერ”. პარლამენტის წევრობის კანდიდატთა გვარები ბიულეტენში შეაქვთ იმ თანამიმდევრობით, რომელიც წილისყრით განსაზღვრა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიაში.

2. საარჩევნო ბიულეტენებს ბეჭდავს ცენტრალური საარჩევნო კომისია ქართულ ენასა და აფხაზურ ენაზე (აფხაზეთისათვის), აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში საარჩევნო ოლქის მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

3. საარჩევნო ბიულეტენები ზუსტად აღირიცხება. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ შესაბამისად საოლქო და საუბორ საარჩევნო კომისიებისათვის ბიულეტენების გადაკეტებს. ყოველ საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა გადაცეს შესაბამის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობაზე დაახლოებით 5 პროცენტით მეტი ბიულეტენი. ბიულეტენების მიღებას კომისიის თავმჯდომარე (ძირი მოადგილე ან მდივანი) ხელმოწერით ადასტურებს.

## თავი VII

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში  
 მონაწილე პარტიათა და საარჩევნო  
 ბლოკთა, პარლამენტის დეპუტატის  
 განდიდატთა საშინაობის გარანტისათვის

### მუხლი 43.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში  
 მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და  
 ოლქში წარდგენილი კანდიდატების  
 წინასაარჩევნო პროგრამები

1. პარტიის, საარჩევნო ბლოკის პარლამენტის წევრობის კანდიდატს უფლება აქვს გამოვიდეს თავისი პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ოლქში წარდგენილ კანდიდატს კი — თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამით. პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ოლქში წარდგენილი კანდიდატის პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომის და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული სიძულვილისა და მტრობის, რელიგიური დაპირისპირების მოწოდებას.

2. ცნობილური საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წინასაარჩევნო პროგრამების გამოქვეყნებას ოფიციალურ და ადგილობრივ გაზითებში, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას წარდგენილი პარტიიული სიებითა და ოლქში რეგისტრირებულ კანდიდატთა სიებით, ამ კანდიდატების ბიოგრაფიული მონაცემებითა და წინასაარჩევნო პროგრამების ძირითადი დებულებებით, ოუ აღნიშნული მასალა შესაბამის საარჩევნო კომისიას გადაცემა არჩევნებამდე არა უგვიანეს 25-ე დღისა.

## მუხლი 44.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში  
 დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისა და  
 საარჩევნო ბლოკის რწმუნებული, პარლამენტის  
 წევრობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი

1. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიასა და საარჩევნო ბლოკს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის შემდეგ შეუძლია ჰყავდეს თითო რწმუნებული ყოველ საარჩევნო ოლქში, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რწმუნებულთან ერთად წარმოადგენს პარტიას, საარჩევნო ბლოკს საარჩევნო კომისიებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან ურთიერთობისას. საოლქო საარჩევნო კომისიაში რწმუნებულს ნიშნავს პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებული ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
2. პარლამენტის წევრობის კანდიდატს შეუძლია იყოლიოს არა უმეტეს ათი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც წარმოადგენენ ამ კანდიდატს საარჩევნო ურთიერთობაში.
3. პარლამენტის წევრობის კანდიდატი ნიშნავს ნდობით აღჭურვილ პირს და აძლევს მას შესაბამისი საარჩევნო კომისიისაგან მიღებულ მოწოდებას.

4. პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარლამენტის წევრობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს თავისი რწმუნებულის, ნდობით აღჭურვილი პირის უფლებამოსილება და შეცვალოს იგი, რის შესახებაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას. რწმუნებულმა, ნდობით აღჭურვილმა პირმა არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეიძლება მოიხსნას უფლებამოსილება.

5. პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს, პარლამენტის წევრობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს საკუთარი განცხადებისა და სათანადო მოწმობის წარდგენის საფუძველზე არჩევნების შედეგების შეჯამებამდე მიეცემა უხელფასო შვებულება. ამასთან, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს შეუძლია შეუნარჩუნოს მას საშუალო ხელფასი.

## მუხლი 45.

საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისათვის  
პარლამენტის წევრობის კანდიდატის  
გათავისუფლება საწარმოო თუ სამსახურებრივი  
მოვალეობის შესრულებისაგან

1. პარლამენტის წევრობის კანდიდატის საკუთარი განცხადებისა და სათანა-  
დო მოწმობის წარჯენის საუმჯობელზე წინასაარჩევნო კამპანიის ვადით  
მიეცემა უხელვასო შეკველება. ამასთან, საწარმოს, დაწესებულების, ორგა-  
ნიზაციის ხელმძღვანელს შეუძლია შეუწიოს მას საშუალო ხელვას.

2. რეგისტრირების შემდეგ პარლამენტის წევრობის კანდიდატი არ  
შეიძლება გაიწვიონ ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სამხედრო შეკრებე-  
ბზე. თუ იგი ნამდვილ სამხედრო სამსახურში ან სამხედრო შეკრებაზე,  
სამსახური შეწყდება არჩევნების დღის მომდევნო დღეში. არჩეული  
პარლამენტის წევრი თავისუფლდება ნამდვილი სამხედრო სამსახურისა-  
გან თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში.

## მუხლი 46.

პარლამენტის წევრობის კანდიდატის  
ხელშეუხებლობა

პარლამენტის წევრობის კანდიდატი არჩევნების შედეგების შეჯამებამ-  
დე არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, დააკავონ,  
დააპატირონ ან გაჩხრიოკონ, თუ პროკურატურის ორგანოების შეტყ-  
ობინებაზე არ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა, გარდა  
იმ შემთხვევისა, როდესაც პარლამენტის წევრობის კანდიდატი დაკავე-  
ბულ იქნა დანაშაულის ადგილზე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა  
ეცნობოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. თუ ცენტრალური საარჩევნო  
კომისია არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პარ-  
ლამენტის წევრობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

## მუხლი 47.

წინასაარჩევნო აგიტაცია

1. პარლამენტის წევრობის კანდიდატები თანასწორი უფლებით მონაწ-  
ილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში პარლამენტის წევრობის კანდიდატ-

ად რეგისტრაციის მომენტიდან.

2. საქართველოს მოქალაქებს, პარტიებს, მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს, რწმუნებულებებს, ნდობით აღჭურვილ პირებს გარანტირებული აქტ შესაძლებლობა გასწორო აგიტაცია პარტიის, საარჩევნო ბლოკის, პარლამენტის წევრობის კანდიდატების მხარდასჭრად ან საწინააღმდეგოდ.

3. საარჩევნო კომისია ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოებთან, მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად მოვალეა ხელი შეუწყოს წინასაარჩევნო შეხვედრების გამართვას, დროულად გამოაცხადოს მათი მოწყობის დრო და ადგილი.

4. შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის დღიდან პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარლამენტის წევრობის კანდიდატს უფლება აქტ დამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და ა.შ. (ტექსტში შემდგომ “პლაკატები”).

5. საოლქო საარჩევნო კომისიები შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად, არჩევნებამდე არ უგვიანეს 15 დღისა, უზრუნველყოფებ საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას. გასავრცელებლად სავალებულოა პარტიული სიტი, ოლქში წარდგენილ კანდიდატთა სია, კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემები, საარჩევნო პროგრამები. მასალის წარდგენისათვის დაგვენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში დაბეჭდება მხოლოდ კომისიაში არსებული ოფიციალური მონაცემები.

6. ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა შეიძლება აკრძალონ საარჩევნო პლაკატების გაკვრა ცალკეულ საზოგადოებრივ შენობებზე არქიტექტურისა და კულტურის ძეგლების დაცვის, მოძრაობის უსაფრთხოების მოსაზრებებით. აკრძალულია და შესაბამისად დაისჯება საარჩევნო პლაკატების მოხსნა, ჩამოხვა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ეს პლაკატები აკრძალულ ადგილებში არ არის განლაგებული.

7. არჩევნების დღეს ყოველგვარი აგიტაცია, გარდა ხმის მისაცემი შენობის გარეთ ადრე გამოკრული სააგიტაციო მასალისა, აკრძალულია.

8. საარჩევნო კამპანიის პრიორიტეტი სახელმწიფო ტელევიზია და რადიო, წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით, ვალდებული არიან უფასოდ გამოყოფილი ყოველდღიურად 3 საათი საეთერო დრო, რომელიც თანაბრად განაწილდება არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებსა და ბლოკებს შორის. აკრძალულია სახელმწიფო სატელევიზიო და რადიო კომპანიის მიერ საეთერო დროის გაყიდვა. კერძო სატელევიზიო და რადიო კომპანიების მიერ ნებაყოფლობით გამოყოფილი საეთერო დრო, უფასოც და ფასიანიც, დროის გამოყოფის

პირობების გაძლიერებისა და შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის მისი შეტყობინების შემდეგ, თანაბრად უნდა განაწილდეს არჩევნებში დამტკიცილებლად მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის; რომელიმე მათგანის მიერ ამ დროის გამოყენებლობის შემთხვევაში იგი სხვგბზე არ გადანაწილდება. საეთორო დროის ფასი ყველასათვის ერთობის უნდა იყოს. შესაბამისი საარჩევნო კომისია პარტიებთან, საარჩევნო ბლოკებთან და ტელერადო კომანიების წარმომადგენლებთან ერთად უზრუნველყოფს გამოსვლების გრაფიკის შემუშავებას და დაცას.

9. კომისანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისათვის გამოყოფილი საეთორო დრო თანაბრა პირობებით უნდა განაწილდეს მათ შორის.

10. საარჩევნო კამპანიის პერიოდში, გარდა მისი ჩატარებისათვის გამოყოფილი დროის შუაღებისა, იკრძალება საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრებისა და სხვა ოფიციალური პირების წინასაარჩევნო აგიტაციასთან დაკავშირებული გამოსვლა. იკრძალება აგრეთვე პრეზიდენტობისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატების გამოსვლა, თუ ეს დაკავშირებული არ არის ოფიციალური ინფორმაციასთან.

11. საარჩევნო კამპანიის პერიოდში იკრძალება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, პოლიციისა და პროეურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

12. საქართველოს პარლამენტის არჩევნების კანონის მიღების დღიდან არჩევნებში მონაწილე პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და პარლამენტის წევრობის კანდიდატებს, მათ რწმუნებულებსა და ნდობით აღჭურვილ პირებს ეკრძალებათ მატერიალური და სასაქონლო ფასეულობებით ამორჩეველთა მიმსრობა, გარდა პროპაგანდისტული მასალისა. ასეთ შემთხვევებში არჩევნებში მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, პარლამენტის წევრობის კანდიდატის რეგისტრაცია გაუქმდება.

## მუხლი 48.

### საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისას

1. პარლამენტის არჩევნებს საარჩევნო კომისიები ამზადებენ და ატარებენ ლიად და საჯაროდ. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, საარჩევნო

კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროს, ამობრჩეველთა სიებს, არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების ნუსხას, მათ მიერ წარდგენილ პარლამენტის წევრობის კანდიდატთა და ოლქში წარდგენილ კანდიდატთა სიებს, მათ საარჩევნო პროგრამებს, აწვდიან ცნობებს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა შესახებ, აცნობენ არჩევნების შედეგებს.

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში გამოაქვეყნოს თავისი წინასაარჩევნო პროგრამა და პლატფორმა, ხოლო პარლამენტის წევრობის კანდიდატს - ადგილობრივ პრესაში გამოაქვეყნოს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული წერილები, რისთვისაც შესაბამის გაზეთს უნდა მიაწოდოს პროგრამა და პლატფორმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 დღისა. ამ დოკუმენტების გამოქვეყნებისას დაცული უნდა იყოს მათი წარდგენის რიგითობა.

3. არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებათა ნუსხას, რომლებიც უფასოდ აქვეყნებენ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ მასალებს და მათი მუშაობის წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

4. აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება არჩევნებამდე ბოლო 14 დღის განმავლობაში.

## თავი VIII

**კენჭისყრის ფესი და არჩევნების შედეგების  
დაღგვენა. არჩევნები გამოკლებული  
პარლამენტის ფეხრის ნაცვლად და მისი  
ადგილმონაცვლის განსაზღვრის ფესი**

## მუხლი 49.

**კენჭისყრის დრო და ადგილი**

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეს კენჭისყრა ეწყობა 7 საათიდან 20 საათამდე. საუბრო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დროსა და ადგილს ამომრჩევლებს აცნობებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა.



2. ხმის მიცემის დროს დაუშვებელია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა კენჭისყრის შეწყვეტა, გარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემბეზე და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

## მუხლი 50.

### კენჭისყრის მოწყობა

1. კენჭისყრა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის მხოლოდ ერთი პარტიის, საარჩევნო ბლოკის სარგებლობაში. ამ შენობებში უნდა იყოს ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ფუთები. საარჩევნო ფუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ამომრჩეველი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდეს ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს. კენჭისყრის კაბინებში (ოთახებში) უნდა იყოს კალმისტრები. კენჭისყრის შენობებსა და ოთახებში გამოკრული უნდა იყოს პარტიული სიები და შესაბამის საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატთა სიები, აგრეთვე ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა შეივსოს საარჩევნო ბიულეტენი.

2. თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი პარტია, საარჩევნო ბლოკი, პარლამენტის წევრობის კანდიდატი არჩევნებში აღარ მონაწილეობს, სათანადო განცხადება თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული როგორც საარჩევნო უბანში, აგრეთვე ხმის მისაცემ კაბინებში (ოთახებში).

3. პასუხისმგებლობა კენჭისყრის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნების გამოვლინების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობების მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. წესრიგის დაცვის მიზნით მის მიერ

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება ყველასათვის სავალდებულოა. ხმის მისაცემ შენობაში დაუშვებელია შეიარაღებულ პირთა შესკვლა. პოლიციის თანამშრომელი, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს, კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის თანხმობით. ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ კენჭისყრისათვის აუცილებელი დროის განმავლობაში.

4. არჩევნების დღეს კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს მიღებული ბიულეტენების რაოდენობას, კომისიის წევრებისა და დაწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს საარჩევნო ყუთებს, რის შემდეგაც ყუთებში უშენებნ საკონტროლო ფურცელს, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ კომისიის წევრები და ხმის მისაცემად მისული პირველი ამომრჩეველი; საკონტროლო ფურცელზე უნდა აღინიშნოს ყუთში მისი ჩაშვების დრო.

5. თითოეული ამომრჩეველი ხმას პირადად აძლევს. სხვა პირთა ნაცვლად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს გასცემს საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგნისას.

6. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამომრჩეველთა დამატებით სიას.

7. ამ უბანში მცხოვრები მოქალაქენი, რომლებიც შეცდომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

8. იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩეველს ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით, რომელიც არჩევნების დღის 12 საათამდე უნდა ეცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიას და გატარებული უნდა იყოს განცხადებების უურნალში, კომისიის წევრებს ავალებს კენჭისყრის მოწყობას ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში კენჭისყრის მოწყობაში



მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი; მასში მონაწილეობის უფლება აქვთ საარჩევნო უბანში დასწრების უფლების ქონე პირებსაც. კენჭისყრის ამგვარად ჩასატარებლად გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი. ასეთივე წესით ეწყობა კენჭისყრა იმ შემთხვევაშიც, როცა ამომრჩეველი თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფება სასა-მართლოს განაჩენის გარეშე.

## მუხლი 51.

### კენჭისყრის ჩატარება

1. საარჩევნო ბიულეტენში ამომრჩეველი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენების შევსებისას აქრძალულია ვინმეს დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეასოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში მოწვიოს ნგბისმერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, ნდობით აღჭურვილი პირისა, პარტიის, საარჩევნო ბლოკის რწმუნებულისა და მეთვალყურისა.
2. ერთ ბიულეტენში, რომელშიც ოლქში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატებია შეტანილი, ამომრჩეველი შემოხაზავს იმ კანდიდატის რიგით ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას, დანარჩენებს კი გადახაზავს.
3. მეორე ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები, ამომრჩეველი შემოხაზავს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის რიგით ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას, დანარჩენს კი გადახაზავს.
4. თუ ამომრჩეველს უყურადღებობის გამო გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მას შეუძლია მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მდივანს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაუფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოჭრება კუთხე და ცალკე შეინახება.

5. შევსებულ ბიულეტენებს ამომრჩეველი უშვებს საარჩევნო ყუთში.
6. კომისიის წევრებსა და საარჩევნო უბანში დასწრების უფლების ქონე პირებს უფლება აქვთ ამომრჩეველს მოსთხოვონ უჩვენოს, რომ მას ხელით მხოლოდ თითო სხვადასხვა ფერის ბიულეტენი აქვს. ამომრჩეველი ვალდებულია დააქმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

7. კენჭისყრის შენობა იკეტება 20 საათზე. ამ დროისათვის შენობაში მყოფ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა.

## მუხლი 52.

### ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

- 1) ხმების დათვლისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი თანამიმდევრობა:
  - 1) კერძისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტებად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს უნდა დაწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების სახეობა და რაოდენობა. მას ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე (ან მოადგილე) და მდივანი და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი; დათვლება და პაკეტიად შეიკვრება გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები და გაფორმდება ზემოთ აღნიშნული წესით;
  - 2) ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას და არჩევნებში მონაწილეობა, ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომელთაც მიიღეს ბიულეტენები;
  - 3) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებზე ბეჭდის მთლიანობას, ხსნის მათ და ამოწმებს ყუთებში საკონტროლო ფურცლის არსებობას. თუ ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ამის შესახებ კომისიის აზსნა-განმარტება უნდა დაერთოს ოქმს;
  - 4) კომისია ცალ-ცალკე ითვლის ყუთებში არსებული სხვადასხვა ფერის დადგენილი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას. ცალკე ითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები. ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები ფერების მიხედვით ცალ-ცალკე კონკრეტებში იდება და იმგვარად იძეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს კონვერტიდან ბიულეტენის ამოღება ან მასში ჩადება. კონვერტებს უნდა დაწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მათში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა და სახეობა;
  - 5) ბიულეტენი ნამდვილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ ამომრჩეველმა ერთ პარტიას, საარჩევნო ბლოკს მაიც მისცა ხმა ან კანონით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება;
  - 6) საარჩევნო ბიულეტენი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა. ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება;
  - 7) კომისია ახარისხებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატი-



სათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენში მასში უნდა ჩაწყოს, როგორც მე-4 პუნქტშია მითითებული; ყოველ კონკრეტს უნდა დაწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, პარლამენტის წევრობის კანდიდატის გვარი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა;

8) კომისია ახარისხების და თვლის ყოველი პარტიისთვის, საარჩევნო ბლოკისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენში ისე უნდა ჩაწყოს, როგორც მე-4 პუნქტშია მითითებული. ყოველ კონკრეტს უნდა დაწეროს საარჩევნო უბნის დასახელება, ნომერი და პარტიის ან ბლოკის სახელი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა;

9) საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, აფორიზებს ორ ოქმს, რომელთაგან ერთში აღნიშნული უნდა იყოს ყოველი ოლქში წარდგენილი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, მეორეში - ყოველი პარტიის. საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. ოქმების ცალთა რაოდენობა სამით უნდა აღმატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების, პარტიების, საარჩევნო ბლოკების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები, მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

10) ოქმების ორ-ორ ცალს და ყველა საარჩევნო ბიულეტენს დაუყოვნებლივ უგზავნიან საოლქო საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, თითო ცალი ინახება თვით საუბნო საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს, პარტიებს და საარჩევნო ბლოკებს.

2. საარჩევნო ბიულეტენების ნამდგილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია, კენჭისყრის შედეგი შეაქვეს ოქმში და ასეთ ბიულეტენებს ცალკე დასტად კრავს ზემოაღნიშნული წესით.

### მუხლი 53.

#### არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში

1. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით აღგნენ გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდე-

ნობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, არჩევნებში მონაწილეობა რაოდენობას, ნამდვილად და ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას, თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას, არჩევნების შედეგებს.

2. საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ კენჭისყრის მონაწილეობა ერთი მესამედისა.

3. საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს საარჩევნო უბანში ამ კანონის უქეშად დარღვევის შემთხვევებს და თავის მოსაზრებას არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ დაუყოვნებლივ წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. საჩივარი ამ კანონის დარღვევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება წარუდგინოს არა უგვიანეს არჩევნების მოძღვნო დღისა. მან იგი მორუ დღესვე უნდა განიხილოს და თავისი მოსაზრება არა უგვიანეს შედეგი დღისა წარუდგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ადგენს არჩევნების შედეგებს და ამტკიცებს ოქმს.

5. ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი პარლამენტის წევრობის კანდიდატების რაოდენობას. ოქმის კველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები და მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

6. საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმი და საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების თოთო ცალი არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა ვჭანება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, მორუ ცალი ინახება თვით საარჩევნო კომისიაში, თოთო ცალი კი გაღაცემა პარლამენტის წევრობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს.

7. საუბნო საარჩევნო კომისიების იმ ოქმების თითო ცალი, რომლებშიც შეჯამებულია პარტიული სიებით ჩატარებული არჩევნების შედეგები, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით.

## მუხლი 54.

### არჩევნების შედეგების შეჯამება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნები პარტიული სიების მიხედვით ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობდა ამომ-



რჩეველთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი მაინც, ხოლო გულისძიების დატიან ოლქში არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი მაინც.

2. თუ პარლამენტის წევრი პირველ ტურში ვერ აირჩა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგების მქონე ორი კანდიდატი. მეორე ტურის ჩატარების თარიღს განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს.

3. ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული იქმნების საფუძველზე არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს 20 დღისა თვის სხდომებზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს და შეაქვს იქმში.

4. იქმის პირველი ცალი ინახება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მეორე ცალი გადაეცემა საქართველოს პარლამენტს, თითო ცალი კი პარტიების, საარჩევნო ბლოკების რწმუნებულებს.

5. საუბნო საარჩევნო კომისიების იქმების საფუძველზე ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს ნამდვილად და ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენთა რაოდენობას, თითოეული პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას, პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.

6. პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ პარტიულ სიას, რომელმაც მიიღო არჩევნების მონაწილეთა 5% მაინც. პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადაგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 150-ზე და გაიყოს ასეთი პარტიების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.

7. იმ შემთხვევაში, თუ ამგარად მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებული მანდატებისაგან თითო მანდატი მიეკუთვნებათ იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს. თუ ორი ან მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება მას, რომელიც საარჩევნო ბიულეტენში რიგით წინ იყო.

8. თუ კანდიდატი არჩეულია როგორც საარჩევნო ოლქიდან, ისე



პარტიული სიით, მაშინ იგი არჩეულად ითვლება საარჩევნო ოლქიდან კი მომდევნო კანდი-  
დატების წანაცვლება სიის დასაწყისისენ. პარტიული სიით არჩეულად  
ჩაითვლებიან პარლამენტის წევრობის ის კანდიდატები, რომელთა რი-  
გითი ნომერიც ამ სიაში ნაკლებია ან ტოლია სიის მიერ მიღებული  
მანდატების რაოდენობისა. ამ სიის მიხედვით არჩეულ პარლამენტის  
წევრთა რაოდენობა უცვლელი რჩება.

9. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეუძლია ბათილად ცნოს აჩქენები იმ  
საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა ამ კანონის უზემდე დარღვევა, ეს საკითხი  
კომისიამ უნდა განიხილოს არჩევნების დღიდან ასა უცვასნეს მუწ დღისა.

10. საარჩევნო უბნებში არჩევნების ბათილად ცნობის შემთხვევაში  
ცენტრალური საარჩევნო კომისია ამ უბნებში ნიშავს ხელახალ ხმის  
მიცემას ოლქში წარდგენილი კანდიდატებისათვის, თუ უბნებში არჩევნების  
შედეგს შეუძლია არჩევნების საბოლოო შედეგზე გავლენის მოხდენა,  
ხოლო ხელახალ ხმის მიცემას პარტიული სიებისათვის, თუ ამომ-  
რჩეველთა სრული რაოდენობა ამ უბნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდე-  
ნობის 10 პროცენტზე მეტია. ხელახალი ხმის მიცემა საერთო არჩევნე-  
ბიდან ორი კვირის ვადაში უნდა ჩატარდეს. თუ ამ შემთხვევაშიც ბათი-  
ლად იქნა ცნობილი არჩევნები, საბოლოო შედეგები დადგინდება ასეთი  
უბნების გაუფალისწინებლად.

11. ოქმში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო ოლქებისა და  
უბნების დასახელება და ნომრები, რომლებმიც არჩევნები ბათილად იქნა  
ცნობილი, აგრეთვე ამომრჩეველთა რაოდენობა, არჩევნების ბათილად  
ცნობის მიზეზები, ყოველ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო  
რაოდენობა, არჩევნების მონაწილეთა რაოდენობა, არჩეულ პარლამენტის  
წევრთა რაოდენობა და ანბანურად დალაგებული მათი სია.

12. შედეგების დალაგებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო  
კომისია რესპუბლიკურ გაზეთებში, ტელევიზიოთა და რადიოთი აქცეუ-  
ნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ.

## მუხლი 55.

ხელახალი ხმის მიცემა საარჩევნო უბანში

1. ხელახალ ხმის მიცემას საარჩევნო უბანში ნიშავს ცენტრალური  
საარჩევნო კომისია.



2. ხელახალი ხმის მიცემა საერთო არჩევნებიდან ორი კვირის შემდგრძნელი ჩატარდეს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობით. ასეთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს ხელახალი ხმის მიცემის ჩატარება დაავალოს საუბნო საარჩევნო კომისიის ახალ შემადგენლობას.

## მუხლი 56.

**არჩეული პარლამენტის წევრების რეგისტრაცია**  
 არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.

## მუხლი 57.

**არჩევნები გამოკლებული პარლამენტის წევრის  
 ნაცვლად და მისი ადგილმონაცვლის  
 განსაზღვრის წესი**

1. საქართველოს პარლამენტის მიერ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ბათილად ცნობისას, აგრეთვე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის გადადგომის ან სხვა მიზეზების გამო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას შესაბამის საარჩევნო ოლქში ეწყობა ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს სამი თვისა და იგი ეწყობა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

2. გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად არჩევნები ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ტარდება წელიწადში ორჯერ - მაის-ივნისში და ოქტომბერ-ნოემბერში. არჩევნები უნდა ჩატარდეს უახლოეს ვადაში. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე არჩევნები გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად არ ტარდება.

3. თუ გამოკლებული პარლამენტის წევრი არჩეული იყო პარტიული სიით, მის ადგილს ერთი თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან 15 დღის განმავ-

ლობაში თანხმობა განაცხადა პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კანდიდატი სიიდან ამოიღება და ვაკანტურ ადგილს დაიკავებს მისი მომდევნო კანდიდატი და ა.შ.. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში ასარჩევი კანდიდატი აღარ არის, პარლამენტის წევრის ეს მანდატი უქმდება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სათანადო დოკუმენტაციას პარლამენტის სამანდატო კომისიას წარუდგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

5. პარლამენტის წევრად არჩეული პარლამენტის წევრობის კანდიდატი ამოიღება პარტიული სიიდან.

## მუხლი 58.

**საოლქო საარჩევნო კომისიის დოკუმენტაციისა და  
მატერიალურ ფასეულობათა შენახვის წესი**

1. არჩევნების დამთავრების შედეგ საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან ჩატარონ მათ გამგებლობაში არსებული დოკუმენტაციისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია. ამის შედეგ არსებული დოკუმენტები და ინვენტარი ინახება მმართველობის ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ გაძლიერებულ ადგილას.

2. არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი ინვენტარის შენახვაზე პასუხისმგებლები არიან მმართველობის ადგილობრივი ორგანოები და საოლქო საარჩევნო კომისიები.

## გარდამავალი დებულებანი

**საქართველოს პარლამენტის 1995 წლის  
არჩევნებისთვის:**

## მუხლი 1.

- ამ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული 50000 ამომრჩევლის წარდგენა არ სჭირდება პარტიას, რომელსაც საქართველოს პარლამენტში ჰყავდა თავისი წარმომადგენელი 1995 წლის 24 აგვისტომდე;
- ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადა განი-

საზღვრება კანონის მიღებიდან 7 დღით;

გ) ნაცვლად ამ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესისა, კომისიის წევრის დანიშვნის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პარტიას, რომელსაც საქართველოს პარლამენტში ჰყავდა თავისი წარმომადგენელი 1995 წლის 24 აგვისტომდე;

დ) ნაცვლად ამ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესისა, კომისიის წევრის დანიშვნის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ არანაკლებ 5 პარტიას ერთობლივად, რომელთაც 1995 წლის 24 აგვისტომდე არ ჰყავდათ წარმომადგენელი პარლამენტში;

ე) ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა იწყება და მის თავმჯდომარეს, ნაცვლად ამ კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული ვადისა, ნიშნავს საქართველოს პარლამენტი ამ კანონის მიღებიდან 3 დღის ვადაში;

ვ) ამ კანონის 30-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში სიტყვა “პრეზიდენტი” იცვლება სიტყვებით “მინისტრთა კაბინეტი”.

ზ) ამ კანონში სიტყვა “მთავრობა” იცვლება სიტყვებით “მინისტრთა კაბინეტი”.

თ) ამ კანონის 36-ე მუხლს ემატება სიტყვები “ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წევრები, მინისტრთა კაბინეტის აპარატის უფროსი, სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულები და მათი მოადგილები”; სიტყვა “პრეზიდენტი” იცვლება სიტყვებით “სახელმწიფოს მეთაური”;

ი) ამ კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი შეიცვლება ასე: “1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნები პარტიული სიების მიხედვით ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარი მაინც, ხოლო ერთმანდატიან ოლქში არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარი მაინც“.

## მუხლი 2.

ა) აფხაზეთში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნები-სათვის აუცილებელი პირობების შექმნამდე 1992 წლის არჩევნებ-



ის შედეგად აფხაზეთიდან არჩეულ პირებს, რომლებიც ამ კანონის მიღწმებისათვის არიან საქართველოს პარლამენტის წევრები, უკრძალდებათ პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. აფხაზეთში ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნების დღის დანიშვნისთანავე მათი უფლებამოსილება შეწყდება;

ბ) საქართველოს პარლამენტის 1995 წლის არჩევნების შედეგების შეჯამებისას ამ კანონის 54-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებში რიცხვი “150” იცვლება “146”-ით;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის “ა” პუნქტით გათვალისწინებული პარლამენტის წევრი რეგისტრირებული იქნება პარლამენტის კანდიდატად, მას უფლებამოსილება არ უკრძალდება. ასეთ შემთხვევაში “ბ” პუნქტში რიცხვს “146” დაემატება იმდენი ერთეული, რამდენიც აღმოჩნდება ასეთი პირი, ოღონდ არა უმეტეს ოთხისა;

დ) ამ მუხლის “ა” პუნქტით გათვალისწინებული არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში არჩევნების დანიშვნიდან 7 დღის განმავლობაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ამ კანონის 54-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად ხელახლა ადგენს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას და საქართველოს პარლამენტს 3 დღის ვადაში წარუდგენს არჩეულ პარლამენტის წევრთა სიას. ასეთივე წესით გადანაწილდება პარლამენტის წევრთა მანდატები, თუ უფლებამოსილება შეუწყდა ამ მუხლის “ა” პუნქტით გათვალისწინებულ პარლამენტის წევრს. დამატებით განაწილებულ მანდატთა რაოდენობა როგორც არ აღემატება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაშვილი.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

ვახტანგ გოგიაშვილი.

თბილისი, 1995 წლის 1 სექტემბერი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილებები

**672 “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“**

**საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი აღვენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

ვახტანგ გოგიაძე.

თბილისი, 1995 წლის 1 სექტემბერი.

**673 საქართველოს რესაუბლივის კანონი**

**საქართველოს პრეზიდენტის**

**არჩევნების შესახებ**

### თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

საქართველოს პრეზიდენტს ირჩევენ საქართველოს მოქალაქეები სა-  
ყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე,  
ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად  
შეიძლება აირჩის ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 2.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების  
კანონმდებლობა

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ორგანიზაცია და მისი ჩატარება  
რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით და საქართვე-  
ლოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

## მუხლი 3.

### საყოველთაო საარჩევნო უფლება

1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც მიაღწიეს 18 წლის ასაკს, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, განათლებისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

2. არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურიდ დავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლოშ შედუქარილ ცონა და ის პრინციპი რომლებიც სასამართლოს განჩხით საჯელს იხდიან თუ უკულის აღკვთის დწესტულებებში.

## მუხლი 4.

### თანასწორი საარჩევნო უფლება

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები თანასწორია, ყოველ მოქალაქეს ერთი ხმა აქვს. საქართველოს თითოეული მოქალაქე პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობს თანასწორ საფუძველზე.

## მუხლი 5.

### პირდაპირი საარჩევნო უფლება

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები პირდაპირია, პრეზიდენტს საქართველოს მოქალაქეები უშეალოდ ირჩევენ.

## მუხლი 6.

### ფარული კენჭისყრა

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. დაუშვებელია ამომრჩეველთა ნების გამოვლინებისადმი კონტროლი.

## მუხლი 7.

### საჯაროობა საქართველოს პრეზიდენტის

არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს

1. საარჩევნო კომისიების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების საქმიანობა, რომლებიც ამ კანონის საფუძველზე მონაწილეობენ პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში, ხორციელდება

ღიად და საქართველო.

2. საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლებს, პრეზიდენტობის კან-დიდატის რწმუნებულს, თითო ნდობით აღჭურვილ პირს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, ხოლო არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობებში საარჩევნო ყუთების დაღუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე - პრეზიდენტობის კანდიდატის თითო წარმომადგენელსაც. თავანთი განზრახვის შესახებ მათ უნდა აცნობონ შესაბამის საარჩევნო კომისიებს არჩევნებამდე ან უგვინეს 2 დღისა. ამ წარმომადგენლების ჩარევა საარჩევნო კომისიების მუშაობაში დაუშვებულია.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართოდ აშექებენ არჩევნების მომზადებასა და მის ჩატარებას. მათ წარმომადგენლებს გარანტირებული აქვთ შეუფერხებელი, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მონაწილეობა არჩევნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ კრებასა თუ სხდომაში.

4. პრეზიდენტის არჩევნების დროს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა საზოგადოებრივი ღონისძიება შეუფერხებდად ხორციელდება.

5. პრეზიდენტის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია ტარდება “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. სახელმწიფო ტელევიზია და რადიო უფასოდ გამოყოფს ყოველდღიურად თითო საათ საეთერო დროს.

## მუხლი 8.

პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება  
საარჩევნო კომისიების მიერ

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და მისი ქვემდგომი საარჩევნო კომისიები.

## მუხლი 9.

საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

საქართველოს პუნქტობრივი არჩევნებისათვის სარჩევო ოლქები და სარჩევო უნიტები იქნება “საქართველოს პუნქტობრივი არჩევნების შესახებ“ კანონი დადგნილ წესით.

## მუხლი 10.

### საარჩევნო კომისიები

საარჩევნო კომისიების სისტემა, მათი ორგანიზაცია და უფლება-მოსილება განისაზღვრება კანონით “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“.

## მუხლი 11.

### ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა სიების შედგენის, მათში მოქალაქეთა შეტანის, სიებში ამომრჩეველთა არშეტანის, არასწორად შეტანის, სიიდან გამორჩენის, ამომრჩეველთა მონაცემებში დაშვებული შეცდომების გასაჩივრებისა და, აგრეთვე, საარჩევნო უფლების განხორციელების წესი მუდმივი ადგილ-სამყოფელის გამოცვლისას განისაზღვრება კანონით “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“.

## მუხლი 12.

### საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება

პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას (ტექსტში შემდგომ “პარტიას“) ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა უნდა დადასტურდეს 50000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

## მუხლი 13.

### საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო ფონდები

1. პრეზიდენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. ხარჯებს ანაწილებენ საარჩევნო კომისიები საერთო ცენტრალიზებული ფონდიდან, რომელსაც ქმნის ცენტრალური საარჩევნო კომისია სახელმწიფო ხარჯების საფუძველზე. არჩევნების დამთავრების შემდეგ ორი თვის ვადაში ხარჯების ფაქტობ-

რივ ოდენობას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგინებით ამტკი-  
ცებს საქართველოს პარლამენტი. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯე-  
ბის განაწილების, გამოყენებისა და ანგარიშის გამოქვეყნების წესს  
ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს შეუძლიათ შექმნან  
საარჩევნო ფონდები, რისთვისაც მათ უფლება აქვთ გამოიყენონ სახელმ-  
წიფოს მიერ გამოყოფილი თანხა, თავიანთი სახსრები, მხოლოდ  
საქართველოში რეგისტრირებულ არასახაზინო საწარმოთა, საქართვე-  
ლოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებათა და საქართველოს  
მოქალაქეთა შეწირულობანი. აღნიშნული თანხები ჩაირიცხება კანდიდა-  
ტის საარჩევნო ფონდის საბანკო ანგარიშზე, რომელიც იხსნება ცენ-  
ტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

3. პრეზიდენტობის ერთი კანდიდატისთვის ნებაყოფლობითი შეწირუ-  
ლობის მაქსიმალურ ოდენობას, აგრეთვე ცალკეული შეწირულობის  
ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია  
არჩევნებამდე არა უგვიანეს 45 დღისა.

4. არჩევნების დამთავრების შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატის  
საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება საქართველოს ბიუჯეტში.

## თავი II

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების  
ორგანიზაცია და ჩატარება

## მუხლი 14.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა

1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური ეწყობა  
წინა არჩევნების ჩატარებიდან მესუთე წლის აპრილის მეორე კვირა დღეს.
2. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.

## მუხლი 15.

პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენის წესი

1. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩის საარჩევნო უფლების  
მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელ-

საც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მანც და არჩევნების დანიშნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

2. ყოველ პარტიას და ყოველ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს პრეზიდენტობის თთო კანდიდატი.

3. კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ, ამომრჩეველთა ჯგუფმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც მას უფლება აქვს შეაგროვოს მხარდამჭერთა ხელმოწერები. განცხადებას უნდა დაერთოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა კენჭისყრაზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი; პარტიულობა და საქართველოში ცხოვრების ვადა, აგრძოვე პარტიის, ამომრჩეველთა ჯგუფის რწმუნებულის ვინაობა. მას უნდა დაერთოს კანდიდატის დაბადების მოწმობის ასლი. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის ხელმძღვანელი პირი, ამომრჩეველთა ჯგუფის ყველა წევრი.

4. პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად პარტიის, ამომრჩეველთა ჯგუფის რწმუნებულმა არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-40 დღისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია. მასში უნდა იყოს არანაკლებ 50000 ამომრჩევლის ხელმოწერა.

5. წარდგენილი კანდიდატების მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება და მათი შემოწმება ხორციელდება “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად.

## მუხლი 16.

### პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია

1. პრეზიდენტობის კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

2. პრეზიდენტობის კანდიდატი, მისი რწმუნებული და ნდობით აღჭურვილი პირი არ შეიძლება იყვნენ საარჩევნო კომისიის წევრები.

3. ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციდან 3 დღის განმავლობაში პრეზიდენტობის კანდიდატებს აძლევს შესაბამის მოწმობას.

4. ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციის მომენტიდან არა უგვიანეს მე-6 დღისა ოფიციალურ გაზეთებში და მასობრივი ინფორ-

მაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას რეგისტრაციის შესახებ, გვარის, სახელის, დაბადების წლის, დაკავებული თანამდებობის (ძირი-თადი საქმიანობის), საცხოვრებელი და სამუშაო აღგილის მითითებით.

5. ცენტრალური საარჩევნო კომისიის უარი პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე შეიძლება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრონ პარტიებმა და საინიციატივო ჯგუფებმა უარის თქმიდან 3 დღის განმავლობაში. უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა.

6. პრეზიდენტობის კანდიდატს შეუძლია არჩევნებამდე ნებისმიერ დროს მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

## მუხლი 17.

პრეზიდენტობის კანდიდატების, მათი რწმუნებულებისა და ნდობით აღჭურვილი პირების საქმიანობის გარანტიები.

1. პრეზიდენტობის კანდიდატები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციის მომენტიდან თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში. მათ პრესისა და მასობრივი ინფორმაცის სხვა საშუალებების გამოყენების თანაბარი უფლებები აქვთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად.

2. პრეზიდენტობის კანდიდატები, მათი რწმუნებულები და ნდობით აღჭურვილი პირები საარჩევნო კამპანიის დროს არ შეიძლება დაითხოვონ სამსახურიდან ან გადაიყვნონ სხვა სამუშაოზე ან სხვა თანამდებობაზე მათი თანხმობის გარეშე.

3. პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩრიაკონ, თუ პროექტურის ორგანოების შეტყობინებაზე არ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატი დაკავეს დანაშაულის ადგილზე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პრეზიდენტობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

## მუხლი 18.

### საარჩევნო ბიულეტენი

1. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას განსაზღვრავს და მის დაბეჭდვას უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

2. საარჩევნო ბიულეტენში პრეზიდენტობის კანდიდატები შეაქვთ წარდგენის რიგის მიხედვით. მასში მითითებული უნდა იყოს კანდიდატის გვარი, სახელი, დაბადების წელი და ადგილი, პროფესია (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, პარტიულობა, პრეზიდენტობის კანდიდატის წარმდგენი პარტიის სახელწოდება; თუ კანდიდატი საინციდენტო ჯგუფის მიერაა წარდგენილი, დაიწერება “წარდგენილია ამომრჩეველთა მიერ”.

3. საარჩევნო ბიულეტენებს ბეჭდას ცენტრალური საარჩევნო კომისია ქართულ ენასა და ავხაზურ ენაზე (ავხაზეთისათვის), აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საარჩევნო ოლქის მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

4. საარჩევნო ბიულეტენები ზუსტად აღირიცხება.

## მუხლი 19.

### კენჭისყრა

1. კენჭისყრის დრო, ადგილი, მისი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით “საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ”.

2. კენჭისყრის დროს ამომრჩეველმა ბიულეტენში უნდა დატოვოს მხოლოდ ის კანდიდატი, რომელსაც აძლევს ხმას, დანარჩენი კანდიდატები კი უნდა გადახაზოს.

## თავი III

### არჩევნების შედეგების შეჯამება

## მუხლი 20.

### ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

1. ხმების დათვლისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი ონამიმდევრობა:

1) კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და ჰაკეტებად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს, პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა; მას ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

2) ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, აგრეთვე არჩევნების მონაწილეთა ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც მიიღეს ბიულეტენები;

3) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს ბეჭდის მოლიანობას საარჩევნო ყუთებზე, ხსნის მათ და ამოწმებს ფუთებში საკონტროლო ფურცლის არსებობას;

4) კომისია ითვლის ყუთებში არსებული ბიულეტენების ანუ კენჭის სერიის მონაწილეთა რაოდენობასა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას (ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებსა და ბიულეტენებს, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია დადგინდეს, თუ ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა. ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება). ბათილად ცნობილი ბიულეტენები ცალკე კონკრეტებში იდება და იმგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს ბიულეტენების ამოღება ან ჩადება. კონკრეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა;

5) კომისია ახარისხებს ბიულეტენებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები ისევე უნდა ჩაიწყოს, როგორც მეოთხე ქვეპუნქტშია მოთითებული;

6) საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს და ოქმში შეიტანს ხმების დათვლის შედეგებს. ოქმში აღნიშნული უნდა იყოს ყოველი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. ოქმის ცალთა რაოდენობა სამით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების რაოდენობას; ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭდი;

7) ოქმის ორ ცალს და ყველა საარჩევნო ბიულეტენს დაუყოვნებლივ უგზავნიან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, ერთი ინახება თვით საუბნო საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა გადაეცეს პრეზიდენტობის კანდიდატების წარმომადგენლებს.

2. საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია.

## მუხლი 21.

არჩევნების შედეგების დადგენა საარჩევნო ოლქში

1. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქში, არჩევნების მონაწილეთა, კენჭისყრის მონაწილეთა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას, ყოველი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას.

2. საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს საარჩევნო უბანში ამ კანონის უხეშად დარღვევის შემთხვევებს და თავის მოსაზრებას არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ დაუყოვნებლივ წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. საჩივარი ამ კანონის დარღვევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება წარუდგინოს არა უგვიანეს არჩევნების მოძღვნო დღისა. მან იგი მეორე დღესვე უნდა განიხილოს და თავისი მოსაზრება არა უგვიანეს შემდეგი დღისა წარუდგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

3. საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ამტკიცებს არჩევნების შედეგებს და ადგენს ოქმს.

4. ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

5. ოქმის პირველი ცალი და გამოუყენებელი ბიულეტენები არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს კანდიდატების წარმომადგენლებს.

## მუხლი 22.

არჩევნების შედეგების დადგენა ცენტრალურ  
საარჩევნო კომისიაში. გამარჯვებული  
კანდიდატის გამოვლენა

1. ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიებისა-  
გან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს ამომრჩეველთა საერთო

რაოდენობას, არჩევნების მონაწილეობა და კენჭისყრის მონაწილეობა, თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმებისა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

2. პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიღიო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობამ.

3. არჩეულად ჩაითვლება პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც მიღებს არჩევნების მონაწილეობა ხმების ნახევარზე მეტს.

4. თუ არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა, წარდგენილი იყო პრეზიდენტობის ორი ან მეტი კანდიდატი, მაგრამ პრეზიდენტი ვერ აირჩა, ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს. არჩევნების მეორე ტური ეწყობა ორი კვირის ვადაში.

5. თუ გამოცხადდა, რომ არჩევნები არ ჩატარდა, ან ჩატარდა, მაგრამ პირველ ტურში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი კანდიდატი და მან ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა, ან მეორე ტურში არ აირჩა პრეზიდენტი, ორი თვის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

6. ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების ჩატარებიდან 20 დღის ვადაში თავის სხდომაზე აჯამებს არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქების მიხედვით და აფორმებს ოქმს.

7. ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

8. ოქმი ინახება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს კანდიდატების რწმუნებულების.

9. შედეგების შეჯამებიდან ხუთი დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ.

## თავი IV

არჩევნების მეორე ტური. ხელახალი არჩევნები

მუხლი 23.

არჩევნების მეორე ტური

1. არჩევნების მეორე ტური ეწყობა იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი იყო პრეზიდენტობის ორი ან მეტი კანდიდატი, არჩევნები ჩატარებულად



ჩათვალა, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოაგროვა არჩევნების  
მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი.

2. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში  
შეძეოსი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. მეორე ტური ჩატარებუ-  
ლად ჩათვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერ-  
თო რაოდენობის მესამედი მაინც. არჩეულად ჩათვლება ის კანდი-  
დატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს, ოღონდ ამომრჩეველთა საერ-  
თო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეზუოედისა.

3. მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხშაოს თანაბარი რაოდენობის  
დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ეძღვევა იმ კანდიდატს, რომელ-  
მაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო.

## მუხლი 24. ხელახლი არჩევნები

1. საქართველოს პრეზიდენტის ხელახლი არჩევნები ტარდება  
იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები ჩატარებულად არ გამოცხადდა, ან  
ჩატარდა, მაგრამ პირველ ტურში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი  
კანდიდატი და მან ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა, ან  
მეორე ტურში არ აირჩა პრეზიდენტი. არჩევნების შედეგების შე-  
ჯამების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ცენტრალური  
საარჩევნო კომისია კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-7 პუნქტის  
შესაბამისად ნიშნავს პრეზიდენტის ხელახლი არჩევნების თარ-  
იღს.

2. ხელახლი არჩევნები ტარდება 2 თვის განმავლობაში.

3. ცნობა ხელახლი არჩევნების დანიშნის შესახებ ქვეყნდება ოფი-  
ციალურ გაზეთებში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

4. ხელახლი არჩევნების დროს საარჩევნო ღონისძიებანი ტარდება ამ  
კანონით დადგენილი წესით და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ  
განსაზღვრულ ვადებში.

## გარდამავალი დებულება

ნაცვლად ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრული ვადისა, ამ კანონის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის პირველი არჩევნები ტარდება 1995 წლის 5 ნოემბერს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ელიაზ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

ვახტანგ გოგუაშვილი.

თბილისი, 1995 წლის 1 სექტემბერი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

674 “საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ”  
საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი “საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ” ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

ვახტანგ გოგუაშვილი.

თბილისი, 1995 წლის 1 სექტემბერი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**675 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
თავმჯდომარის და წევრების არჩევის წესის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-14 მუხლით დადგენილი წესით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და ორ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

**ვახტაძე გოგოავა**.

თბილისი, 1995 წლის 1 სექტემბერი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**676 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
თავმჯდომარის არჩევის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ  
არჩეულ იქნეს ივანე კილურაძე.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

**ვახტაძე გოგოავა**.

თბილისი, 1995 წლის 1 სექტემბერი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**677 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორი წევრის არჩევის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ გიორგი ზესაშვილი და ნუგზარ სხირტლაძე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური ედუარდ გვარდენავა.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**678 საქართველოს რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიის გაუქმების შესახებ**

საქართველოს კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისია.
2. საქმების არქივში გადასაცემად მომზადებისთვის გაუგრძელდეს უფლებამოსილება საკონსტიტუციო კომისიის სამდინაროს /საკონსტიტუციო კომისიის მდივანი და 5 საშტატო ერთეული/ ახლად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური ედუარდ გვარდენავა.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

679 საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაუქმების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1995 წლის 5 ნოემბრის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის ახალი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით შეწყდეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური მდგრად შევარდნეავ.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

680 საშემოდგომო სესიის დაწყების თარიღის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ ივლის-აგვისტოში გაიმართა პარლამენტის რეგგარეზე სესია, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესია დაიწყოს 19 სექტემბერს.

2. საშემოდგომო სესიის პირველ სხდომაზე განხილულ იქნეს აფხაზეთის საკითხი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური მდგრად შევარდნეავ.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**681 “საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულების” ძალადაკარგულად ცნობის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

საქართველოს პარლამენტის არჩევნების კანონის მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 1992 წლის 21 მაისს მიღებული /1992 წლის 31 ივნისსა და 31 აგვისტოს შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით/ “საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება”, გარდა ამ დებულების 57-ე მუხლისა, რომელიც ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 1995 წლის 5 ნოემბრიდან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური  
თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

**ეღუარდ შევარდნაშვილი**

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**682 იგორ გიორგაძის საქართველოს სახელმწიფო  
უშიშროების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან  
განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

განთავისუფლდეს იგორ გიორგაძე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური  
თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

**ეღუარდ შევარდნაშვილი**

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 683 საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ

ეს კანონი ითვალისწინებს ფინანსური რესურსების შექმნას საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარებისა და შენახვისათვის და განსაზღვრავს საგზაო ფონდის საერთო სამართლებრივ საფუძვლებს, ამ ფონდის დანიშნულებას და გამოყენებას.

#### მუხლი 1.

##### საგზაო ფონდის დანიშნულება

1. საქართველოს რესპუბლიკის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის, შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სამუშაოების, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დარგის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დასაფინანსებლად იქმნება მიზნობრივი, არასაბიუჯეტო საგზაო ფონდი.

2. საქართველოს რესპუბლიკის საგზაო ფონდის სახსრებს აქვს მიზნობრივი დანიშნულება და არ ეჭვემდებარება ამოღებას, ან იმ საჭიროებისათვის ხარჯვას, რომელიც არ არის დაკავშირებული საქართველოს რესპუბლიკის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის, შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სამუშაოებთან, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესისა და დარგის განვითარებასთან, აგრეთვე საგზაო მეურნეობის მართვის საკითხებთან.

3. საქართველოს რესპუბლიკის საგზაო ფონდის სახსრები ხმარდება მაგისტრალური, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის, შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სამუშაოებს, დარგის განვითარებასა და დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებებს, აგრეთვე საგზაო მეურნეობის მართვის ხარჯებს.

4. საქართველოს რესპუბლიკის საგზაო ფონდს განაგებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ან მის მიერ რწმუნებული ორგანო საგზაო დარგში.

## მუხლი 2.

საგზაო ფონდის შექმნა და გამოყენება

1. საქართველოს რესპუბლიკის საგზაო ფონდის მიზნობრივი გამოყენებისა და გადასახადების ამოღების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.
2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ან მის მიერ რწმუნებული ორგანო ფოველწლიურად აქვეყნებს პრესაში საგზაო ფონდის სახსრების გამოყენების გეგმებს და მისი ხარჯების ანგარიშს.

## მუხლი 3.

საგზაო ფონდის შექმნის წყაროები

საქართველოს რესპუბლიკის საგზაო ფონდის მიზნობრივი არასაბიუჯეტო სახსრები იქმნება შემდეგი წყაროების ხარჯზე:

1. გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის;
2. გადასახადი საწვავ-საპოზი მასალების რეალიზაციისათვის;
3. გადასახადი სატრანსპორტო საშუალებათა ფლობისათვის;
4. გადასახადი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ავტომანქანების შემოსვლისათვის, სატრანზიტო მოძრაობისათვის;
5. გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მიმდებარე ზოლში მიწისქვეშა კომუნიკაციების ექსპლუატაციისათვის და სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების განთავსებისათვის;
6. საგზაო ორგანიზაციების ამონაგები სესხებიდან, გამართული ლატარიებიდან, აქციების გაყიდვიდან და საჯარიმო სანქციებიდან საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ასიგნების ჩათვლით.

## მუხლი 4.

გადასახადი საერთო სარგებლობის

საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადს იხდია:

1. “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული მეწარმეები, მათ შორის:

ყველა მეწარმე, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას - ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციით მიღებული შემოსავლების 2,0 % ოდენბით;

კომერციული საბანკო დაწესებულებები - გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების 0,5 % ოდენბით;

მეწარმენი, რომლებიც ეწევიან სავაჭრო და საშუამავლო საქმიანობას - საქონელბრუნვის 0,1 % ოდენბით;

მეწარმენი, რომლებიც ეწევიან სხვა საქმიანობას, გარდა ზემოაღნიშნული პუნქტებით განსაზღვრულია - წარმოებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოების და გაწეული მომსახურების მოცულობის 1,0% ოდენბით.

2. მეწარმენი, რომელთა სამრეწველო, სავაჭრო, ფასიანი მომსახურებისა და სხვა დანიშნულების ობიექტები განლაგებულია საერთო სარგებლობის სავტომობლო გზების მიმდებარე ზოლში /დასახლებულ პუნქტებში გზის ღერძიდან 50 მეტრის, ხოლო დაუსახლებელ მონაკვეთებსე - 100 მეტრის მანძილზე/, საერთო სარგებლობის სავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადს იხდიან ამ კანონის მე-4 მუხლის I პუნქტით განსაზღვრული განაკვეთის გაორმავებული ოდენობით /მხოლოდ ამ ობიექტების მიერ გამოშვებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების მოცულობიდან/.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი მეწარმისათვის დაბეგვრის ობიექტი მცირდება საწვავ-საპოხი მასალების რეალიზაციით მიღებული შემოსავლებით.

## მუხლი 5.

**გადასახადი საწვავ-საპოხი მასალების  
რეალიზაციისათვის**

1. საწვავ-საპოხი მასალების რეალიზაციისათვის გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება 5 %-ის ოდენობით.

2. საწვავ-საპოხი მასალების რეალიზაციისათვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტებია:

ამ მასალების მწარმოებელი საწარმოებისათვის - რეალიზებული პროდუქციის ღირებულება აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე;

საგაფრო და საშუალებლო საწარმოებისათვის - ამ მასალების რეალიზაციით მიღებულ თანხებსა და მათ შესაძენად გაღებულ თანხებს შორის სხვაობა /ორივე შემთხვევაში აქციზისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე/.

## მუხლი 6.

### გადასახადი სატრანსპორტო საშუალებათა ფლობისათვის

1. იურიდიულ და ფიზიკურ პირთა /მათ შორის უცხოელების/ წლიური გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების /მათ შორის სპეციალური მანქანების/ ფლობისათვის განისაზღვრება ძრავის სიმძლავრის მიხედვით თითოეულ ცხენის ძალაზე: მსუბუქ ავტომანქანებზე -0,2 აშშ დოლარის ექვივალენტური ეროვნული ვალუტის ოდენობით, ავტობუსებზე - 12 ადგილდე ტევადობისა - 0,5 აშშ დოლარის, 13-დან 30 ადგილამდე ტევადობისა - 1,0 აშშ დოლარის, 30 ადგილზე მეტი ტევადობისა - 2,0 აშშ დოლარის ექვივალენტური ეროვნული ვალუტის ოდენობით; სატვირთო ავტომობილებზე 10 ტონამდე ტვირთამწეობისა - 1,0 აშშ დოლარის, 11-დან 20 ტონამდე ტვირთამწეობისა - 1,5 აშშ დოლარის, 21-დან 40 ტონამდე ტვირთამწეობისა - 2,0 აშშ დოლარის, 40 ტონაზე მეტი ტვირთამწეობისა - 3,0 აშშ დოლარის ექვივალენტური ეროვნული ვალუტის ოდენობით.

2. სატრანსპორტო საშუალებების ფლობისათვის გადასახადისაგან თავისუფლდებია:

ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების მფლობელები; ქალაქებში მოშუშავე სამგზავრო ავტობუსების მფლობელები.

3. გადასახადის გადახდა ხდება სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციამდე, მფლობელის შეცვლისას - ხელახლად რეგისტრაციამდე, ხოლო შემგომში ყოველწლიურად - ტექნიკურ დათვალიერებამდე.

4. რეგისტრაცია, ხელახლალი რეგისტრაცია ან ტექნიკური დათვალიერება გადასახადის გადახდის შესახებ ქვითრის ან საგადასახდელო დავალების წარუდგენლად დაუშვებელია.

## მუხლი 7.

გადასახადი საქართველოს რესპუბლიკის  
ტერიტორიაზე ავტომანქანების შემოსვლისათვის,  
სატრანზიტო მოძრაობისათვის,

გადასახადს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ავტომანქანების შემოსვლისათვის იხდიან საქართველოს ფარვლებს გარეთ რეიისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების /მათ შორის სპეციალური მანქანების/ მფლობელები, აგრეთვე საქართველოში რეიისტრირებული იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელები, რომლებიც დატვირთულია ან დატყვირთულიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხო ძველებში გასატანი უცხო ძველების ტვირთო, შემდგენ ოდენობით: მსუბუქ ავტომანქანებზე - 20 აშშ დოლარს, ავტომუსებზე - 12 ადგილობრივ ტვირთობისა - 40 აშშ დოლარს, 13-დან 30 ადგილობრივ ტვირთობისა - 80 აშშ დოლარს, 30 ადგილზე მეტი ტვირთობისა - 130 აშშ დოლარს; სატვირთო ავტომანქანებზე - 10 ტონამდე ტვირთომწეობისა - 130 აშშ დოლარს, 11-დან 20 ტონამდე ტვირთომწეობისა - 160 აშშ დოლარს, 21-დან 40 ტონამდე ტვირთომწეობისა - 220 აშშ დოლარს, 40 ტონაზე მეტი ტვირთომწეობისა - 300 აშშ დოლარს.

აღნიშნული საგზაო გადასახადის გადახდა ხდება როგორც აშშ დოლარებით, ან სხვა კონვერტირებადი ვალუტით, ისე ეროვნული ვალუტით შესაბამისი კურსით.

ეს პუნქტი გამოიყენება უცვლელად იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოთამორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ითვალისწინებს ამ ხელშეკრულების პირობებს.

## მუხლი 8.

გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო  
გზების მიმდებარე ზოლში მიწისქვეშა  
კომუნიკაციების ექსპლუატაციისათვის და  
სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების  
განთავსებისათვის

1. გადასახადს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მიწის ვაკისის ფარვლებში მიწისქვეშა კომუნიკაციების /კავშირგაბმულობის, ელექტრომომარაგების, გაზმომარაგების, წყალმომარაგების, საკანალიზა-

ციონ და სხვა/ ექსპლუატაციისათვის გადაიხდიან ამ კომუნიკაციების მფლობელები I გრძივ მეტრ მიწისქვეშა კომუნიკაციაზე 0,1 აშშ დოლარის ექვივალენტური ეროვნული ვალუტის ოდენობით.

2. გადასახადის საქოთო სარგებლობის საავტომობილო გზების მიმღებარეზოლში სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების განთავსებისათვის აღნიშვნული სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების მფლობელები გადაიხდიან:

1) მაგისტრალური მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე - სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების თითოეული კვ.მ. ფართობზე 20 აშშ დოლარის ექვივალენტური ეროვნული ვალუტის ოდენობით;

2) რესტურანტური მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე - სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების თითოეულ კვ.მ. ფართობზე 15 აშშ დოლარის ექვივალენტური ეროვნული ვალუტის ოდენობით;

3) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე - სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების თითოეული კვ.მ. ფართობზე 5 აშშ დოლარის ექვივალენტური ეროვნული ვალუტის ოდენობით.

## მუხლი 9.

### გადასახადების ამოღება და აღრიცხვა

1. საგზაო ფონდში სახსრების მოღებას, შემსახულის აღრიცხვას და კონტროლს ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჯარისახლი სამსახური, მნავან საქვესა სამნისტრო და საგზაო დარგის მრთვის ორგანო საქართველოს რესპუბლიკის მნისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით.

2. გადასახადების თანხას საწარმოები, გაერთიანებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შეიტანენ პროდუქციის წარმოების /შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების/ დანახარჯებში.

3. საგზაო ფონდში შემოსული სახსრების ჩარიცხვა და გამოყენება ექვემდებარება დადგენილ სახელმწიფო სტატისტიკურ აღრიცხვას.

## მუხლი 10.

### პასუხისმგებლობა გადასახადის გადაუხდელობისათვის

1. პასუხისმგებლობა ამ კანონით დადგენილი გადასახადების გადაუხდელობისათვის განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონებით: “საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ”, “საქართველოს

რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო „სამსახურის შესახებ“ და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონმდებლობით.

2. გადასახადების დანაკლისები და ჯარიმების თანხები ირიცხება საგზაო ფონდში დარღვევის აღმომჩენი ორგანიზაციის კუთვნილი თანხების გამოკლებით.

## მუხლი 11.

### საგზაო ორგანოების პასუხისმგებლობა

საგზაო ორგანოების პასუხისმგებლობა საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე მდგომარეობისათვის განსაზღვრულია „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფო მეთაური აღმართ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

პასტარი გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

684 „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედების თაობაზე

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“ ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის საგზაო ფონდის გადასახადების ამოღებისა და მიზნობრივი გამოყენების წესი.

3. საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორ-

მაციის კომიტეტმა დაზუსტოს საქართველოს რესპუბლიკის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე დანახარჯების ანგარიშების წესი.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წარმოადგინოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური ელეარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

685 საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების შემადგენლობის განსაზღვრის, ფუნქციების გამოჯვნისა და გადანაწილების, საჭიროების შემთხვევაში რეორგანიზაციის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან და პარლამენტის შესაბამის კომისიებთან ერთად შეიძუმაოს წინადადებანი საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების შემადგენლობის განსაზღვრის, ფუნქციების გამოჯვნისა და გადანაწილების, საჭიროების შესახებ.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებით ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სადესანტო მოიერიშე ბრიგადისა და სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების (“ალფა” და “ომეგა”) შესაძლებლობათა უკეთ გამოყენების მიზნით ისინი უშალოდ დაექვემდებარა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის - შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური ელეარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 2 სექტემბერი.

## საქართველოს რესაუბლიკის კანონი

**686 ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით “საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ ცვლილებისა და დამატების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით “საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ /საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წ. NN27-30, მუხ. 642/ შეტანილ იქნეს შედეგი ცვლილება და დამატება:

I. 36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36. ფულის ერთეული

1. საქართველოს რესპუბლიკის ფულის ერთეულია “ლარი“. ლარი შედგება 100 “თეთრისაგან“.

2. ლარი არის ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

3. ეროვნული ბანკი აღგენს და არეგულირებს ლარის გადაცვლის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ. თუ ეროვნული ბანკი არ გმოაცხადებს ლარის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ, მაშინ კურსი განისაზღვრება ბაზარზე თავისუფალი მოთხოვნისა და მიწოდების საფუძვლზე.

4. ლარი /მიმოქცევაში არსებული ნალი ფული, მიმდინარე, ვადიანი და საბანკო ანგარიში/ უზრუნველყოფილია ოქროს მარაგით, უცხოეთის ქავების სავალუტო კრედიტებითა და ეროვნული ბანკის სხვა აქტივებით“.

II. 46-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის მუ-3 პუნქტი:

„3. ეროვნული ბანკი მთავარი ექსპერტია ეროვნული ვალუტისა და სხვა საბანკო ბილეთების ნამდვილობის დადგენის საქმეში“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მთავარი ედუარდ შევარდნეაშვილი.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

ვახტანგ გოგიაშვილი.

თბილისი, 1995 წლის 19 სექტემბერი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

687 “ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ ცვლილებისა და დამატების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

“ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ ცვლილებისა და დამატების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებული იქნეს გამარტივებული პროცედურით.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

გახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 19 სექტემბერი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

688 “ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით“ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში „ცვლილებისა და დამატების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

1. “ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ ცვლილებისა და დამატების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი (გარდა მეორე პუნქტისა) ამოქმედდეს 1995 წლის 25 სექტემბრიდან.

2. მეორე პუნქტი ამოქმედდეს 1995 წლის 2 ოქტომბრიდან.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

**გახტანდ მოგვაძე.**

თბილისი, 1995 წლის 19 სექტემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

689 საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და აფ-  
მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვ-  
ლილებებისა და დამატებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში /საქართვე-  
ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. N 1, მუხ.10/ შეტანილ  
იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 79-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 79. კონტრაბანდა

კონტრაბანდა, ესე იგი საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო საზღვარზე  
საქონლის, ეროვნული ვალუტის დიდი ოდენობით ან სხვა ფასეულობების  
უკანონო გადატანა ან გადოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლისაგან გვერ-  
დის ავლით ან მისგან მაღლულად, ან საბაჟო ან სხვაგვარი ღოკუმენტების  
მოტყუებითი გამოყენებით; ან დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით  
ან მონაცემების შეუტანლობით, ან ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ  
სამსახურებივი მდგომარეობის გამოყენებით, ან პირის მიერ, რომელიც  
განთავისუფლებულია საბაჟო კონტროლისაგან, აგრეთვე კონტრაბანდის  
გასაწევად ორგანიზებულ პირთა ჯგუფის მიერ, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების  
კონფისკაციით.

საქართველოს ან უცხოეთის ქვეყნების ხალხთა კუთვნილი მხატვრული,  
ისტორიული, არქეოლოგიური, საგნების, აგრეთვე ხელოვნების ნიმუშების,  
ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული საიუვე-

ლირო ნაკეთობათა და ამ ნაკეთობათა ჯართის კონტრაბანდა, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თორმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ნარკოტიკული საშუალებების, ფინქოტროპული, ძლიერმომქმედი, შხამიანი ან მომწამლავი ნივთიერებების, აგრეთვე რადიაქტიული ან ფეთქებადი ნივთიერებების, შეიარაღების, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი მოწყობილობის და სამხედრო საჭურვლის კონტრაბანდა, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

კონტრაბანდა, გათვალისწინებული ამ მუხლის მესამე ნაწილით, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, გარკვეული თანამდებობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით“.

## 2. 163-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

;მუხლი 163. საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ჰუმურტის გამოყენების წესების დარღვევა

საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევა, ჩადენილი ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების შემდეგ, -

ისჯება ჯარიმით შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედებისათვის ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით“.

## 3. 163<sup>1</sup> მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტაზე გადაცვლაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა ვალუტის გადამცვლელი დაწესებულების მუშაკის მიერ, ჩადენილი ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ქონების კონფისკაციით“.

4. 169<sup>7</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 169<sup>7</sup>. უკანონ სამეწარმეო საქმიანობა

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე ან უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სპეციალურ ნებართვას /ლიცენზიას/ საჭიროებს, ჩადენილი ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შემდეგ, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით შრომის ანაზღაურების ორას მინიმალურ ოდენობამდე“.

II. საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსში /საქართველოს სსრ უსმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., N 12, მუხ.421/ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 153<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 153<sup>1</sup>. საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყნების წესების დარღვევა

საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესების დარღვევა, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, ასეთი საქმიანობიდან მიღებული მთელი ამონაგების კონფისკაციით“.

2. 178-ე მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტაზე გადაცვლაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა ვალუტის გადამცვლელი დაწესებულების მუშაკის მიერ“.

3. 193-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციაში სიტყვები “ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე“, „ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე“ შეიცვალოს შესაბამად სიტყვებით “ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე“, „ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე“.

მეორე ნაწილის სანქციაში სიტყვები “ამ საგნების კონფისკაციას“ შეიცვალოს სიტყვებით “დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოცი მინიმალური ოდენობით, ამ საგნების კონფისკაციით“;

4. 194-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 194. კონტრაბანდა

საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო საზღვარზე ტვირთის გადატანა ან გადმოტანა საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით ან საბაჟო წესების დარღვევით, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ოც მანიძალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა - შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდათ მინიძალურ ოდენობამდე, კონტრაბანდის საგნების კონფისკაციით.

ეროვნული ვალუტის, ფურადი ლითონების ან მისი ჯართის კანონით დადგენილი წესის დარღვევით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე გადაადგილება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდათ მინიძალურ ოდენობამდე, კონტრაბანდის საგნების კონფისკაციით“.

5. 239-ე მუხლის მე-15 ნაწილს ბოლოს დაემატოს სიტყვები:

„ან სახელმწიფო საჯალასახლი ორგანობი, ფასიბის სახელმწიფო ინსტუციის სამისახულ უფლებამოსილი პირები, კონტროლის პალატის ორგანოები“.

III. ეს კანონი ამოქმედდეს 1995 წლის 2 ოქტომბრიდან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფო მეთაური

მდ უარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

ვახტანგ გოგიაძე.

თბილისი, 1995 წლის 19 სექტემბერი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

690 “საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ “საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღენს:

“საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ



სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების „შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს გამარტივებული პროცედურით.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი

ვახტაძე გოგოაძე.

თბილისი, 1995 წლის 19 სექტემბერი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

691 ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ  
საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ მიღებულ იქნეს მეორე მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერის მოადგილე

ვახტაძე რევულივაზიანი.

თბილისი, 1995 წლის 17 ოქტომბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

692 ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების  
- ომის და შეიარაღებული ძალების ვეტერანების სოციალური დაცვის  
ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს მათი  
ქეთილდღეობისა და აქტოური საქმიანობის პირობების შესაქმნელად.

## თავი I

### ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1.

სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერანების მიმართ  
სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერანების მიმართ ითვალისწინებს:

- 1) ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის შექმნას;
- 2) სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური შეღავათების გარანტიებს, მათი პრაქტიკული შესრულებისათვის ღონისძიებათა სისტემას;
- 3) საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ვეტერანების სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის პროგრამებისათვის საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას.

#### მუხლი 2.

### ვეტერანების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა

ვეტერანების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა მოიცავს ამ კანონს, საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანიზებს, სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კონცერნებს, ასოციაციებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და არსებული თავისუფალი სახსრებისა და საშუალებების გათვალისწინებით, საბუღეო ურთიერთობის შეუცვლელად შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება კოტექსტის სოციალური დაკვის დამატებითი შეღავათებისა და წახა-

ლისების შესახებ, რომლებიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს რესპუბლიკის ვეტერანებს ენიჭებათ ამ კანონით, საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებები და შეღავათები. დაუშვებელია ადრე მოქმედი შეღავათების, უპირატესობების, უფლებების, დახმარებების გაუქმება ან გაუარესება, თუ არ იქნა მიღებული სხვა ტოლფასი აქტები.

### მუხლი 3.

#### ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა

ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და ამ კანონის დებულებების შესრულების სისტემური კონტროლი ევალება ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს.

### მუხლი 4.

#### ვეტერანების სოციალური დაცვის ღონისძიებათა დაფინანსება

საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფს ვეტერანებისათვის ამ კანონით დაწესებული უფლებებისა და შეღავათების რეალიზაციას და სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მათი სოციალური დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო სახსრების გამოყოფის.

დამატებითი სახსრების მიღება ვეტერანების სოციალური დაცვის ამ კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად, დადგენილი წესით, შეიძლება ნებისმიერი კანონიერი წყაროდან საბიუჯეტო ურთიერთობის შეუცვლელად.

ვეტერანების სოციალური დაცვის ის ღონისძიებები, რომლებიც დაწესებს ავტონომური რესუბლიკების ხელისუფლების ორგანოებს, ფინანსება ავტონომური რესუბლიკური ბორცვებისა და სხვა კანონიერი წყაროების სარჯებე.

ვეტერანების სოციალური დაცვის ღონისძიებები, რომლებიც დაწესებს ადგილობრივი მსართველობის ორგანოებს, ფინანსება ადგილობრივი ბორცვების სარჯებე.

ვეტერანთა საზოგადოებრივ გაერთიანებებში ნებაყოფლობით შესულ ფულად სახსრებსა და მატერიალურ ფასეულობებს იყენებენ ეს ორგანიზაციები დადგენილი წესით.

## მუხლი 5.

### კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებშე, რომლებიც ადრე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ცნობილი იყვნენ ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებად ან ცნობილი არიან ვეტერანებად ამ კანონის შესაბამისად.

## მუხლი 6.

### ვეტერანთა კატეგორიები

ამ კანონით დადგენილია ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა შემდეგი კატეგორიები:

- 1) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;
- 2) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;
- 3) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მოლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;
- 4) შეიარაღებული ძალების ვეტერანები.

## მუხლი 7.

### მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიექუთვნებიან:

- 1) სამხედრო მოსამსახურები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილები /გადამდგარნი/, რომლებიც გადოდნენ სამხედრო სამსახურს ან დროებით იმყოფებოდნენ მეორე მსოფლიო ომის ან სამშობლოს დაცვის სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედი არმიის შემადგენლობის სამსედრო ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე ომის წლებში დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანები და იატაკებება ორგანიზაციების წევრები;
- 2) სამხედრო მოსამსახურები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან

თადარიგში დათხოვნილები /გადამდგარნი/, აგრეთვე შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც ომის წლებში გადიოდნენ სამსახურს ქალაქებში, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაითვლება წელთა ნამსახურობაში შეღავათიანი პირობებით პენისის დანიშვნისათვის, რაც დაწესებულია მოქმედი არმიის სამხედრო ნაწილთა სამსახურებისათვის;

3) არმიის, ფლოტის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ნებაყოფლობით დაქირავებული პირები, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეკავათ სამტატო თანამდებობები მოქმედი არმიის შემადგენლობაში შემავალ სამხედრო ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში ან რომლებიც ამ პერიოდში იმყოფებოდნენ ქალაქებში, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაითვლება წელთა ნამსახურობაში შეღავათიანი პირობებით პენისის დასანიშნავად, რაც დაწესებულია მოქმედი არმიის სამხედრო ნაწილების სამხედრო მოსამსახურებისათვის;

4) დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თანამშრომლები და სხვა პირები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის პერიოლში სპეციალურ დავალებებს ასრულებდნენ მოქმედი არმიის ნაწილებში, მტრის ზურგში ან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე;

5) სამხედრო ობიექტებისა და საწარმოების, სახალხო კომისარიატების მუშა-მოსამსახურები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს გადაყვანილი იყვნენ სამხედრო მოსამსახურების მდგომარეობაზე და ასრულებდნენ მოქმედი არმიისა და ფლოტისათვის სამხედრო დაკვეთებს, აგრეთვე ზურგის მუშაკები, რომლებიც დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით ომის წლებში მამაცური შრომისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების /მათ შორის კულტურის და ხელოვნების/ მუშაკები, ცენტრალური გაზიერების, უურნალების, სატელეგრაფო სააგენტოს, საინფორმაციო ბიუროთა კორესპონდენტები, დოკუმენტური კინოფილმების ცენტრალური სტუდიის /კინოქრონიკის/ კინოპერატორები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში მივლინებული იყვნენ მოქმედ არმიაში;

6) გამანადგურებელი ბატალიონების, ოცეულებისა და სახალხო დაცვის რაზმების მოსამსახურები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილები /გადამდგარნი/, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მებრძოლები და მეთაურთა შემადგენლობის პირები,

რომლებიც ომის დროს მონაწილეობდნენ მთავრობის საბრძოლო დაგვალება-თა შესრულებაში;

7) პირები, რომლებიც პარტიზანული რაზმების, ასტაკქეშელთა ჯგუფებისა და ანტიფაშისტური ფორმირებების /შემადგენლობაში მონაწილეობდნენ ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე;

8) სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილები /გადამდგარნი/, რომლებიც 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის 3 სექტემბრამდე გადიოდნენ სამხედრო სამსახურს იმ სამხედრო ნაწილებში, დაწესებულებებსა და სამხედრო სასწავლებლებში, რომლებიც არ შედიოდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში, და დაჯილდოებული არიან მედლით “1941-1945 წლების დიდ სამატულო ომში გამარჯვებისათვის” ან მედლით “იაპონიაზე გამარჯვებისათვის”;

9) პირები, რომლებიც ომის წლებში მუშაობდნენ საპარაზო თავდაცვის, ადგილობრივი თავდაცვის ობიექტებზე, აგრეთვე თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე, საზღვაო ბაზებში, აეროდრომებსა და სხვა სამხედრო ობიექტებზე მოქმედი ფრონტის ზურგში და რკინიგზისა და საუტომობილო გზების ფრონტისაირა უბნებზე;

10) ომის დასაწყისში სხვა სახელმწიფოების ნავსადეურებში ინტერნირებული სატრანსპორტო ფლოტის ხომალდების ეკიაქის წევრები;

11) პირები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დავალებით აგროვებდნენ საბრძოლო მასალებს და სამხედრო ტექნიკას, განნაღმავდნენ ტერიტორიებსა და ობიექტებს;

12) პირები, რომლებიც ქალაქ ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში 1941 წლის 8 სექტემბრიდან 1944 წლის 27 იანვრამდე მუშაობდნენ მის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და დაჯილდოებული არიან მედლით “ლენინგრადის დაცვისათვის” ან ნიშნით “ლენინგრადის ბლოკადის მცხოვრებს”;

13) მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებში იძულებით პატიმრობაში მყოფი მეომრები და სხვა პირები, რომლებსაც დამტკვეცებული მხარის სასარგებლოდ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ ნებაყოფლობით, და ყოფილი არასრულწლოვანი პატიმრები.

სამხედრო ნაწილების, შტაბებისა და დაწესებულებების ნუსხას, რომლებიც ომის წლებში შედიოდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში,



ავრეთვე ნუსხას იმ ქალაქებისა, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაი-  
თვლება წელთა ნაშიახურობაში შეღავათიანი პირობებით პენის დასანიშნა-  
ვად, რაც დაწესებულია მოქმედი არმის საბრძოლო ნაწილების სამხედრო  
მოსამსახურებისათვის, ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური  
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის წარდგინებით.

### მუხლი 8.

**სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო  
მოქმედების ვეტერანები და მათთან  
გათანაბრებული პირები**

სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტე-  
რანებსა და მათთან გათანაბრებული პირებს მიეკუთვნებიან:

სამხედრო მოსამსახურები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილები /გადამდგარნი/, სამხედრო შეკრებებზე გაწვეული რეზერვისტები, შინა-  
გან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგით და-  
მეთაურთა შემადგენლობის პირები, ამ ორგანოთა თანამშრომლები, თავ-  
დაცვის სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც სახელმწიფო ზე-  
ლისუფლების მიერ გაგზავნილი იყვნენ და მონაწილეობდნენ სხვა სა-  
ხელმწიფოებში საბრძოლო მოქმედებებში სამსახურებრივი მოვალეობის  
შესრულების დროს.

სხვა კატეგორიის პირებისათვის სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე  
საბრძოლო მოქმედების ვეტერანის სტატუსს განსაზღვრავს საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

### მუხლი 9.

**საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული  
მთლიანობის, თავისუფლებისა და**

**დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების  
ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები  
საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფ-  
ლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტე-  
რანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან:**

1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული არმი-



ის, სახალხო გვარდიის სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის თადარიგზე ში დათხოვნილები /გადამდგარნი/, მიღიციის მუშაკები და ამ ფორმირებებში მოხალისედ შესული სამოქალაქო პირები, რომლებიც 1918-1921 წლებში მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დასაცავად და მისი ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად;

2) 1921-1924 წლებში საქართველოს ეროვნული მოძრაობის ან დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილენი;

3) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაინგალიდდნენ ან დაჯილდოვდნენ ორდენებითა და მედლებით.

## მუხლი 10.

### შეიარაღებული ძალების ვეტერანები

შეიარაღებული ძალების ვეტერანებს მიეკუთვნებიან ყოფილი საბჭოთა კავშირის, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები, შინაგანი ჯარების, სახელმწიფო უშიშროების ჯარების, სასაზღვრო ჯარების, სამშედრო პროექტურისა და სამხედრო სასამართლოების სამსახურო მოსამსახურეები, რომლებიც დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით ან საუწყებო წარჩინების ნიშნებით და აქვთ წელთა ნამსახურობისთვის პენსიის უფლება, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თაღარიგში დათხოვნილები /გადამდგარნი/, აგრეთვე ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც დაინგალიდდნენ სამხედრო სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად

## მუხლი 11.

### მეორე მსოფლიო ომისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ინვალიდობის განსაზღვრა

მეორე მსოფლიო ომისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ინვალიდებს მიეკუთვნებიან:



- 1) მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მოქმედი არმიის სამხედრო მოსამსახურები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილები /გადამდგარნი/, პარტიზანები, აგრეთვე საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ სამხედრო მოსამსახურებთან გათანაბრებული შესაბამისი კატეგორიის მუშები და მოსამსახურები, რომლებიც დაინვალიდდნენ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფრონტზე, სამხედრო მოქმედების რაიონში, რეინიგზისა და საავტომობილო გზების ფრონტისპირა უბნებში, თავდაცვითი ზღუდეების, სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების მშენებლობის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;
- 2) სამხედრო მოსამსახურები, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და შეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც დაინვალიდდნენ მეორე მსოფლიო ომისა და შემდგომ პერიოდში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;
- 3) შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც დაინვალიდდნენ საბრძოლო მოქმედებების რაიონებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;
- 4) სამხედრო მოსამსახურები, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, გამანადგურებელი ბატალიონების, ოცეულებისა და სახალხო დაცვის რაზეულის მებრძოლები და მეთაურები, რომლებიც დაინვალიდდნენ მთავრობის საბრძოლო დავალებების შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;
- 5) პირები, რომლებსაც ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ომის წლებში დაავალეს საბრძოლო მასალებისა და სამხედრო ტექნიკის შეგროვება, ტერიტორიებისა და ობიექტების განნაღმვა და დაინვალიდდნენ ამ პერიოდში მიღებული ჭრილობის, კონტუზის, ან დასახიჩრების შედეგად;
- 6) მუშები და მოსამსახურები, რომლებიც ემსახურებოდნენ სხვა სახელმწიფო მოქმედ სამხედრო კონტინგენტს და დაინვალიდდნენ საბრძოლო მოქმედების პერიოდში მიღებული ჭრილობის, კონტუზის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად.

## მუხლი 12.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული  
მთლიანობის, თავისუფლებისა და  
დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების  
ინვაზიური განსაზღვრა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვაზიური განსაზღვრა:

1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული არმიის, სახალხო გვარდიის სამხედრო მოსამსახურები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილები /გადამდგარნი/, მილიციის მუშაკები და ამ ფორმირებებში მოხალისედ შესული სამოქალაქო პირები, რომლებიც 1918-1921 წლებში მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად და მისი ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და დაინვალიდდნენ საბრძოლო მოქმედების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

2) საქართველოში 1921-1924 წლებში ეროვნული მოძრაობის ან დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილენი, რომლებიც დაინვალიდდნენ საბრძოლო მოქმედების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

3) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილენი, რომლებიც დაინვალიდდნენ საბრძოლო მოქმედების პერიოდში მიღებული ჭრილობის, კონტუზის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად.

## თავი II

ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული  
პირების სოციალური დაცვა

## მუხლი 13.

ვეტერანების სოციალური დაცვა

ვეტერანების სოციალური დაცვა ითვალისწინებს მათთვის შემდეგ შედავათებს:

- 1) საპენსიო უზრუნველყოფას, კანონმდებლობის შესაბამისად დახმარების მიცემას;
- 2) შეღავათებს საყოფაცხოვრებო-კომუნალურ და სავაჭრო მომსაზურებაში;
- 3) სამედიცინო, საპროფეშო-ორთოპედიულ დახმარებას, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობას, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფას;
- 4) ტრანსპორტით უზრუნველყოფის და მგზავრობით სარგებლობის შეღავათიან პირობებს;
- 5) დახმარებას შრომითი მოწყობის, სწავლების, გადამზადების და შრომის პირობების გაუმჯობესებაში;
- 6) კავშირგაბმულობის საშუალებებით, კულტურულ-სანახაობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებული დაწესებულებების შეღავათიანი მომსახურებით სარგებლობას;
- 7) სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის დაწესებულებებით სარგებლობას.

## მუხლი 14.

მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდების სოციალური დაცვა

მუ-11 და მუ-12 მუხლებში აღნიშნული ინვალიდების სოციალური დაცვის მიზნით წესდება შემდეგი უფლებები და შეღავათები:

- 1) პენსიების მომატება და ინდექსაცია საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 2) განთავისუფლება ყველა სახის სახელმწიფო დაბეგვრისაგან;
- 3) ბიუჯეტის სახსრებიდან შესაძლებლობის შემთხვევაში შეღავათიანი პირობებით ერთჯერადი კრედიტის მიღება ბინის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაზე სახლის შესაძენად /ასაშენებლად/ საბაზე-საბოსტნე მიწის ნაკვეთის, დამხმარე ან ფერმერული მეურნეო-

ბის მოსაწყობად კრედიტის მესამე წლის დასაწყისიდან ათი წლის განმავლობაში დაფარვის პირობით;

4) მომუშავე ინვალიდებისათვის დროებითი შრომისუუნარობის დროს უწყეტი სამუშაო სტაჟის მიუხედავად დახმარების გაცემა ხელფასის 100 პროცენტის ოდენობით და საერთო დაავადების შედეგად დროებითი შრომისუუნარობის დროს დახმარების გაცემა ზედიზედ ოთხ თვეშიდე, ხოლო კალენდარული წლის განმავლობაში - ხუთ თვეშიდე;

5) დახმარება კუთვნილი საცხოვრებელი სახლის შეექოებაში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

6) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღების უპირატესი უფლება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ან მებაღეობა-მებოსტნეობის მეურნეობის მოსაწყობად;

7) ინდივიდუალური სახლის მშენებლიბისათვის ადგილობრივი საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფისა და მიღების უფლება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

8) დაკავებული სასამასახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებლობა სამაგიროს მიუცემლად;

9) მათთან მცხოვრები პენსიონერების, ინვალიდების, ან ოჯახის შრომისუუნარო წევრების განთავისუფლება საცხოვრებელი ფართობის, ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების /გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, ელექტრო და თბოენერგია, რადიო, ტელეფონი, გარდა საერთაშორისო და საქალაქო-შორისო საუბრებისა, კოლექტიური ანტენა/ ღირებულების გადასახადისაგან, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

10) იმ სახლებში მცხოვრები ინვალიდებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობის ღირებულებისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და მათი პირველ რიგში უზრუნველყოფა სათბობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

11) ვაზრდილი და პირველი მოთხოვნილების სურსათის და სამრეწველო საქონლის შესაძენად სპეციალიზებული მაღაზიებით, სექციებითა და განყოფილებით სარგებლობა;

12) რიგგარეშე და შეღავათანი მომსახურება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი სამართლის შესაძენად სპეციალიზებული მაღაზიებით, სექციებითა და განყოფილებით სარგებლობა;

ბრივი კვების საწარმოებში, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სამსახურებში;

13) პენსიაზე გასვლის შემდეგ სახელმწიფო და მუნიციპალურ აბტულატორიულ-კლინიკური დაწესებულებების, პოლიკლინიკების მომსახურებით სარგებლობა, რიგგარეშე მომსახურება და ყოველწლიური დისანსერიზაცია, ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტლებსა და სხვა სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში რიგგარეშე უფასო მჯურნალობა სახელმწიფოს ხარჯზე;

14) სამედიცინო დაწესებულებათა დასკვნის საფუძველზე სპეციალურ სარეაბილიტაციო ცენტრში ჯანმრთელობის აღსაღენი მჯურნალობის უფასოდ ჩატარება სახელმწიფოს ხარჯზე;

15) რეცეპტით გასაცემი წამლებით უფასო უზრუნველყოფა აფთიაქების სახელმწიფო ქსელში; ექიმის დასკვნით I ჯგუფის ინვალიდებისათვის წამლების ბინაზე მიტანით მომსახურება; ერთ-ერთ სახელმწიფო აფთიაქზე მიმარტება;

16) კბილების პროთეზის უფასოდ დამზადება და შეკეთება /ძირითადი ლითონების პროთეზის გარდა/ სახელმწიფო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე სხვა პროთეზით და საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

17) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და პრიფილაქტორიუმის უფასო საგზურით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე.

ინვალიდებს საგზურს მისცემენ ის ორგანოები, სადაც ისინი იღებენ პენსიას. თუ საგზური მიეცემა პირველი ჯგუფის ინვალიდს, მაშინ ასეთივე საგზური ეკუთვნის იმ მომელელს, რომელიც ინვალიდს აცილებს სანატორიუმამდე და მასთან ერთად იმყოფება. სურვილის მიხედვით, ინვალიდს ორ წელიწადში ერთხელ სანატორიუმის ან დასასვენებელი სახლის საგზურის ნაცვლად ეძლევა ფულადი კომპენსაცია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

18) ინვალიდი ვეტერანების ბავშვების უზრუნველყოფა საბავშვო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების უფასო საგზურით სახელმწიფოს ხარჯზე;

19) ხელსაყრელ დროს ყოველწლიური ფასიანი შვებულებით და წელი-

წადში ერთხელ ერთი თვის დამატებითი უხელფასო შეცვლებით სარგებლობის უფლება.

თუ ომის I და II ჯგუფის ინვალიდებს სამკურნალოდ ან სანატორიუმში წასასვლელად და უკან დასაბრუნებლად არ ჰყოფნით მორიგი და დამატებითი შეცვლება, ნებადართულია გაუფორმდეთ საავადმყოფო ფურცელი საჭირო დღეების რაოდენობით და მიეცეთ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით, იმის მოუხედავად, თუ ვინ და ვის ხარჯზე გასცა საგზური;

20) ხელით სამართავი მცირელიტრაჟიანი ავტომანქანის ან მოტოეტლის სახელმწიფოს ხარჯზე მიღების უფლება იმ ინვალიდებისათვის, რომელთა დაავადება და დაზიანება შედის საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ავტოტრანსპორტის მიერთვნებისათვის სამედიცინო ჩევნებათა ნუსხაში /ავტომანქანისა - 7 წლის, ხოლო მოტოეტლისა - 5 წლის ექსპლუატაციის ვადით/ მათი გაყიდვის ან სხვისთვის გადაცემის უფლების გარეშე.

ცალკეულ შემთხვევებში I და II ჯგუფის ინვალიდებს ხელით სამართავი მსუბუქი ავტომანქანა ან მოტოეტლი ეძლევათ მაშინაც, როცა ავტომანქანის სამართავად საჭირო ჯანმრთელობა არა აქვთ, მაგრამ ინვალიდის მომსახურებისათვის ავტომანქანის მართვა შეუძლია ერთ დასახლებულ პუნქტში მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრს ან სხვა პირს;

21) ავტომანქანის მართვის სწავლება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ;

22) გარდაცვალების შემთხვევაში მისთვის ადრე მიცემული ავტომანქანის გარდაცვლილის ოჯახისათვის საკუთრებაში დატოვება;

23) მათთვის, ვინც შეღავათიან ფასებში მიიღო ღირებულების გადახდით შეიძინა სატრანსპორტო საშუალება, ფულადი კომპენსაცია ბენზინის ხარჯის, სატრანსპორტო საშუალების რემონტის, ტექნიკური მომსახურებისათვის და სათადარივო ნაწილების შესაძენად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

24) მათთვის, ვისაც აქვს სატრანსპორტო საშუალების მიღების შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, სურვილისამებრ, სატრანსპორტო საშუალების ნაცვლად სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების დასაფარავად ყოველწლიური ფულადი კომპენსაცია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

25) ქალაქში საქალაქო ტრანსპორტით /გარდა ტაქსისა/ უფასოდ სარგებლობა, სოფლად - საგარეუბნო და საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობა სახელმწიფოს ხარჯზე.

I და II ჯგუფის ინვალიდებს წელიწადში ერთხელ სარკინიგზო ან საპარო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლება /ორივე მიმართულებით/. პირს, რომელიც აცილებს ინვალიდს, გადაეხდება 50 პროცენტი; III ჯგუფის ინვალიდებს ორ წელიწადში ერთხელ, სურვილის მიხედვით, სარკინიგზო და საპარო მგზავრობის ხარჯების /ორივე მიმართულებით/ 50 პროცენტი გადაეხდებათ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით;

26) ყველა სახის ტრანსპორტის ბილეთის რიგგარეშე შეძენა;

27) სატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ფარეხებით, სადგომებით და ტექნიკური მომსახურებით უპირატესი სარგებლობა;

28) სახელმწიფო დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით სამუშაოზე რიგგარეშე მიღება;

29) სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობის მუჟედავად სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე უპირატესი დატოვება;

30) არასრული სამუშაო დღის ხანგრძლივობით მუშაობის უფლება; ამასთან შრომის ანაზღაურება ფაქტობრივად ნამუშევარი დროის ან ფაქტობრივი გამომუშავების მიხედვით, I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის 6 საათიანი სამუშაო დღის ხანგრძლივობით, III ჯგუფის ინვალიდებისათვის, აგრეთვე შინაგრომაში ჩაბმული ინვალიდებისათვის - თვეში 18 სამუშაო დღის ხანგრძლივობით;

31) ახალი პროფესიების დაუკულება სახელმწიფოს ხარჯზე სამუშაო ადგილის მიხედვით კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე კადრების მომზადებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემაში სწავლების მთელ პერიოდში უკანასკნელ სამუშაო ადგილზე შრომის ანაზღაურების სატარიფო განაკვეთის 100 პროცენტის შენარჩუნებით;

32) უკონკურსოდ ჩარიცხვა სახელმწიფო უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში;

33) უკონკურსოდ ჩარიცხვა სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და შესაბამისი პროფესიების შემსწავლელ კურსებზე;

34) საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობის დროს მიღებული ჭრი-

ლობის, კონტუზის, დასახიჩრების ან ავაღმყოფობის შედეგად დაინ-ვალიდებული სტუდენტებისათვის სპეციალური მომატებული სტიპენდი-ის დანიშვნა სახელმწიფო სასწავლებლებში;

35) ბინაზე ტელეფონის რიგგარეშე დადგმა სახელმწიფოს ხარჯზე;

36) საქალაქთაშორისო სალაპარაკო პუნქტში, ფოსტასა და კავშირ-გაბმულობის სხვა დაწესებულებებში კავშირგაბმულობის საშუალებე-ბით რიგგარეშე და შედავათიანი მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე;

37) კულტურულ-სანახაობით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესე-ბულებებში რიგგარეშე და შედავათიანი მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე;

38) მოხუცთა და ონვალიდთა სახლ-ინტერნატებში, აგრეთვე პენსიონ-ერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ცენტრებში და ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილებაში რიგგარეშე მიღება;

39) საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობის დროს მიღებული ჭრი-ლობის, კონტუზის, დასახიჩრების, ან ავაღმყოფობის შედეგად დაინ-ვალიდებულ დაზღვეულ სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სამსახ-ურიდან გათავისუფლების შემდეგ ერთი წლის გასვლამდე დაზღვევის სახელმწიფო კომპანიების მიერ ერთვერადი სადაზღვევო თანხით უზრუნ-ველყოფა.

ომის ვეტერანთა პოსპიტლების დახურვა დაიშვება მხოლოდ საქართვე-ლოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით.

## მუხლი 15.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების, სხვა  
სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო  
მოქმედების მონაწილეების და საქართველოს  
რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის,  
თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის  
საბრძოლო მოქმედების მონაწილეების

### სოციალური დაცვა

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, სხვა სახელმწიფოთა ტერიტო-  
რიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს და საქართველოს რესპუ-  
ბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდე-  
ბლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს სოციალური დაცვის

მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლებები და შეღავათები:

1) პენსიების მომატება და ინდექსაცია საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2) შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

3) ბიუჯეტის სახსრებიდან შესაძლებლობის შემთხვევაში შეღავათიანი პირობებით ერთვერადი კრედიტის მიღება ბინის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე სახლის შესაძნად /ასაშენებლად/, საბაღე-საბოსტნე მიწის ნაკვეთის, დამხმარე ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად კრედიტის მესამე წლის დასაწყისიდან ორი წლის განმავლობაში დაფარვის პირობით;

4) დახმარება კუთვნილი საცხოვრებელი სახლის პირველი რიგის შეკეთებაში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

5) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმილო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღების უფლება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ან მებაღეობა-მებოსტნეობის მუურნეობის მოსაწყობად;

6) ინდივიდუალური სახლის მშენებლიბისა და სახლის შეკეთებისათვის ადგილობრივი სამენი მასალების პირველ რიგში გამოყოფა და მიღება;

7) იმ სახლებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობის ღირებულებისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და ამ კატეგორიის პირების პირველ რიგში უზრუნველყოფა სათბობით, თუ ამ მოსახლეებას ახორციელებს სახელმწიფო;

8) დაკავებული სასამსახური საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლების დაუშვებლობა სამაგისტროს მიუცემლად;

9) ომის მონაწილეებისა და მათთან მცხოვრები პენსიონერი ან ოჯახის შრომისუუნარო წევრების მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების /გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, ელექტრო და თბოენერგია, რადიო, ტელეფონი, გარდა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრებისა, კოლექტიური ანტენა/ ღირებულების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა, თუ ამ მომსახურებას ახორ-

ციელებს სახელმწიფო.

საცხოვრებელი ქირის გადახდაზე შეღავათები უწესდებათ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო და მუნიციპალური ფონდების სახლებში, აგრეთვე პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში, ხოლო საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების გადახდაზე -პირებს, მათი საცხოვრებელი ფონდის სახეობის მიუხედავად, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო სამსახური;

10) გაზრდილი და პირველი მოთხოვნილების სურსათის და სამრეწველო საქამდის შესაძნად სკეციალიზებული მაღაზიებით, სექციებითა და განყოფილებებით სარგებლობა;

11) რეგარეშე და შეღავათიანი მომსახურება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სამსახურებში;

12) პენსიაზე გასვლის შემდეგ იმ სახელმწიფო პოლიკლინიკების უფასო მომსახურებით სარგებლობა, რომლებზეც პენსიაზე გასვლამდე იყენებ მიმაგრებული; სამედიცინო დახმარება და ყოველწლიური დისპანსერიზაცია სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში /მათ შორის ომის გეტერანების პოსპიტალში/ სახელმწიფოს ხარჯზე;

13) რეცპტიონ გასაცემი წამლებით უფასოდ უზრუნველყოფა, ერთ-ერთ სახელმწიფო აფთიაქზე მიმაგრება;

14) კბილების პროთეზის უფასოდ დამზადება და შეკეთება /ბერიფასი ლითონების პროთეზის გარდა/ სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე სხვა პროთეზებითა და საპროთეზო და ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

15) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასკვნებელი სახლისა და პროფილაქტორიუმის უფასო საგზურით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე. საგზურებს გასცემენ ის ორგანოები, სადაც ისინი იღებენ პენსიას;

16) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით ამბულატორიულ-საკურორტო საგზურით უზრუნველყოფა და პანსიონატში ადგილის უპირატესი მიღება;

17) მათვის ხელსაყრელ დროს ყოველწლიური ფასიანი შეკტულებით და წელიწადში ერთხელ ერთი თვის ხანგრძლივობის დამატებითი

უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლება;

18) ამ მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის ყოველწლიური სატრანსპორტო ხარჯების სახელმწიფო ანაზღაურება ქალაქში-საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობისათვის, სოფლიდ-საგარეუბნო და საქალაქთა-შორისო საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობის, საგარეუბნო რკინიგზის ტრანსპორტით სარგებლობისათვის, მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით და ოდენობით.

ორ წელიწადში ერთხელ /ორივე მიმართულებით/, სურვილის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის და საპარო ტრანსპორტით, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება და ზამთრის პერიოდში რკინიგზის, საპარო ან საქალაქთა-შორისო საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების 50 პროცენტის ანაზღაურება მთავრობის მიერ დადგენილი წესით;

19) ყველა სახის ტრანსპორტის ბილეთის რიგგარეშე შეძენა;

20) სახელმწიფო დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით სამუშაოზე უპირატესი მიღება;

21) სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაოთა რაოდენობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე /სამსახურში/ უპირატესი დატოვება;

22) ახალი პროფესიის დაუფლება სახელმწიფოს ხარჯზე; სამუშაო ადგილის მიხედვით კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე კადრების მომზადებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემაში სწავლების მთელ პერიოდში უკანსკნელ სამუშაოზე შრომის ანაზღაურების სატარიფო განაკვეთის 100 პრცენტის შენარჩუნებით;

23) ბინაზე ტელეფონის დადგმის უპირატესი უფლება;

24) საქალაქთაშორისო სალაპარაკო პუნქტში, ფოსტასა და კავშირგაბმულობის სხვა დაწესებულებებში კავშირგაბმულობის საშუალებებით რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება დადგენილი წესით;

25) კულტურულ-სანახაობით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება დადგენილი წესით;

26) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, აგრეთვე პენისიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ცენტრებში და ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილებაში რიგგარეშე მიღება.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, რომლებიც დაინვალიდდნენ საერთო დაკადების, შრომითი და სხვა მიზეზების შედეგად /გარდა მართლსა-

წინააღმდეგო ქმედების შედეგად დაინვალიდებული პირებისა / ეძღვეთ ომის ინგალიდებისათვის დაწესებული ყველა შედავათი დადგენილი ინგალიდობის შესაბამისი ჯგუფის დამატებითი საექსპერტო შემოწმების გარეშე.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, რომლებმაც მიაღწიეს 70 წელს, ვრცელდება ყველა უფლება და შედავათი, რომლებიც დადგენილია ამ კანონით მეორე მსოფლიო ომის III ჯგუფის ინგალიდებისათვის;

27) სხვა სახელმწიფოსა ტერიტორიაზე ბრძოლის მონაწილეებს და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მოლაპობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს სოციალური დაცვის მიზნით დამატებით უდინდებათ შეძლევი უფლებები და შედავათები:

ა) უკონკურსოდ ჩარიცხვა უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სახელმწიფო სასწავლებლებში;

ბ) უკონკურსოდ ჩარიცხვა სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და შესაბამისი პროფესიების შემსწავლელ კურსებზე;

გ) უმაღლესი და საშუალო-სპეციალური სახელმწიფო სასწავლებლების სტუდენტებისათვის სპეციალური მომატებული სტიპენდიების დანიშვნა.

## მუხლი 16.

მეორე მსოფლიო ომის ინგალიდების და მონაწილეების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის ომისშემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახის წევრთა (შემდგომში დაღუპულთა, გარდაცვლილთა) სოციალური დაცვა.

ამ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდება დაღუპულთა (გარდაცვლილი) ვეტერანების ოჯახის შემდეგ წევრებზე:

ა) შრომისუუნარო შობდლებზე მიუხედავად მათი ასაკისა;

ბ) მეუღლეზე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა;



გ) არასრულწლოვანი (18 წლის ასაკამდე) შვილებზე და ოჯახის სხვადასახელობის შრომისუნარო წევრებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული (გარდაცვლილი) პირის კმაყოფაზე და საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებდნენ მარჩენალის პენსიას.

დაღუპულთა (გარდაცვლილთა) ოჯახის წევრებს სოციალური დაცვის მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლებები და შედავათები:

1) პენსიის მიღების უფლება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2) ყველა სხვა სახელმწიფო დაბევრვა 50 პროცენტის ფასდაკლებით;

3) სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეღავათანი პირობებით ერთჯერადი კრედიტის მიღება ბინის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე სახლის შესაძენად (ასაშენებლად), - საბაღე-საბოსტნე მიწის ნაკვეთის, დაბხმარე ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად კრედიტის მესამე წლის დასაწყისიდან ათი წლის განმავლობაში დაფარვის პირობით;

4) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმილო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, მებაღეობა-მებოსტნეობის ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად;

5) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ადგილობრივი საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფა და მიღება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

6) დაკავაებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებლობა სამაგისტრო ბინის მიუცემლად;

7) საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების (გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, ელექტრო და თბონერგია, რადიო, ტელევიზი, გარდა საერთომორისო და საქალაქთაშორისო საუბრებისა, კოლექტიური ანტენა) ღირებულების 50 პროცენტის გადახდა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო.

ეს შეღავათები უწესდებათ პირებს, რომლებიც ცხოვრებენ სახელმწიფო და მუნიციალურ საცხოვრებელ სახლებში, აგრეთვე პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში, ხოლო საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების გადახდისა - პირებს საცხოვრებელი ფონდის სახეობის მოუხდავად, იმისგან დამოუკიდებლად, თუ კინ არის საცხოვრებელი სახლის დამქირავებელი ან მფლობელი;



8) იმ სახლებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდვი სათბობის ღირებულებისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და ამ კატეგორიის პირების პირველ რიგში უზრუნველყოფა სათბობით, თუ ამ მომ-სახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

9) პენსიაზე გასვლის შემდეგ იმ სახელმწიფო პოლიკლინიკების მომ-სახურებით სარგებლობა, რომლებზეც დაღუპულის (გარდაცვლილის) ოჯახის წევრები იყვნენ მიმართებული დაღუპულის (გარდაცვლილის) სიცოცხლე-ში სახელმწიფოს ხარჯზე;

10) რეცეპტით გასაცემი წამლებით უფასოდ უზრუნველყოფა ერთ-ერთ სახელმწიფო აფთიაქზე მიმღრებით;

11) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დაღუპულის (გარდაცვლილის) უკანასკნელი სამუშაო ადგილის მიხედვით წელიწადში ერთხელ სანატორი-უმის, დასასვენებელი სახლისა და პროფილაქტორიუმის საგზურით უპირატესი უზრუნველყოფა.

არამომუშავე ოჯახის წევრებს საგზურით უზრუნველყოფს ორგანიზა-ცია, სადაც დაღუპული (გარდაცვლილი) იღებდა პნისას;

12) მეუღლის შეიღებთან ერთად სანატორიუმში, დასასვენებელ სახლსა და პროფილაქტორიუმში დასასვენებლად, აგრეთვე ბავშვთა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში მუზრუნველობისათვის საგზურით უპირატესი უზრუნველ-ყოფა სამუშაო ადგილის მიხედვით;

13) ბინაზე ტელეფონის დაღმის უპირატესი უფლება;

14) ამ მუხლში ჩამოთვლილი პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯების სახელმწიფო უზრუნველყოფა ქალაქში - საქალაქო ტრანსპორტით სარგებ-ლობისათვის, სოფლად -საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით სარგებლობისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით;

15) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, აგრეთვე პენსიონერ-თა სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ცენტრში და ბინაზე სო-ციალური დახმარების განყოფილებაში პირველ რიგში მიღება;

16) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფ-ლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებისას გარდაცვ-ლილი (დაღუპული) ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახის წევრებს უწესდებათ შემდეგი დამატებითი უფლებები და შედა-ვათები:

ა) ერთდღოული და ყოველთვიური დახმარება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

ბ) დაღუპულთა (გარდაცვლილთა) ოჯახის მემკვიდრეების მემკვიდრეობის უფლების მოწმობის წარდგენისას სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარებით უზრუნველყოფა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

გ) დაღუპულის (გარდაცვლილის) ოჯახის მემკვიდრეების მიერ მემკვიდრეობის უფლების მოწმობის მიღებისას სახელმწიფო ბაჟის გადახდის დროს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით სარგებლობა.

## მუხლი 17.

### შეიარაღებული ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვა

შეიარაღებული ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის ღონისძიებები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, ხოლო ამ კატეგორიის ვეტერანებს მოხუცებულობის გამო საპენსიო ასაკის მიღწევისას სოციალური დაცვის მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლებები და შეღავათები:

1) პენსიის მომატება და ინდექსაცია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2) შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

3) სამხედრო სამსახურიდან დათხოვნისას სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) ვეტერანების უზრუნველყოფა ერთდღოული გასასვლელი ფულადი დახმარებით შემდეგი ოდენობით: 15 კალენდარული წლის და ნაკლები ნამსახურობისათვის - 6 თვის, 15-დან 20 წლამდე - 8 თვის, 20-დან 25 წლამდე - 10 თვის და 25 და მეტი კალენდარული წლის ნამსახურობისათვის - 12 თვის სარგოს ოდენობით;

4) სამხედრო სამსახურში ყოფნის ვადის ჩათვლა უწყვეტ შრომით სტაჟში, რომელიც საჭიროა სოციალური დაზღვევით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად, აგრეთვე წელთა ნამსახურობის გათვალისწინებით ერთდღოული მატერიალური წახალისებისათვის, თუ სამხედრო სამსახუ-

რიდან დათხოვნის დღიდან სამუშაოზე მოწყობამდე ან ყველა სახის სასწავლებელში შესვლის დღემდე არ გასულა ექვს თვეზე მეტი;

5) მოქმედი კანონმდგბლობით დადაგენილი წესითა და ოდგნობით საკარმილო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ან მებალეობა - მებოსტნეობის მეურნეობის მოსაწყობა;

6) იმ სახლებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და ამ კატეგორიის პირების სათბობით პირველ რიგში უზრუნველყოფა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

7) დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებელობა სამაგისტრო ბინის მიუცემლად;

8) სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) ვეტერანების ცხოვრება და ჩაწერა საქართველოს ნებისმიერ რაიონსა და ქალაქში, გარდა იმ ქალაქებისა და რაიონებისა, რომელთა ნუსხა დადგნილია საქართველოს რესტურნიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ;

9) ამ მუხლით გათვალისწინებული ვეტერანებისა და მათთან მცხოვრები შრომისუუნარო ოჯახის წევრების მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების (გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, ელექტრო და თბოენერგია, რადიო, ტელეფონი, გარდა საერთაშორისო და საქალაქოთაშორისო საუბრებისა, კოლექტიური ანტენა) ღირებულების 50 პროცენტის გადახდა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო.

შედაგათები საცხოვრებელი ბინის ქირის გადახდაზე უწესდებათ პარებს, რომლებიც ცხოვრებენ სახელმწიფო და მუნიციპალური საცხოვრებელი ფონდების, აგრეთვე პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში, ხოლო საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების გადახდაზე - პირებს მათი საცხოვრებელი ფონდის სახელის მიუხედავად;

10) პენსიაზე გასვლის შემდეგ იმ სახელმწიფო პოლიკლინიკების უფასო მომსახურებით სარგებლობა, რომლებზეც პენსიაზე გასვლამდე იყვნენ მიმაგრებული; სამედიცინო დახმარება სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო -პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სახელმწიფოს ხარჯზე;

11) კბილების პროთეზის უფასოდ დამზადება და შეკეთება /ძვირფასი



ლითონების პროცეზის გარდა/ სახელმწიფო და მუნიციპალურ სამქურნამდებლოს  
ლო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საცხოვრებელი ადგილის  
მიხედვით, აგრეთვე სხვა პროცეზებითა და საპროცეზო - ორთოპედიული  
ნაკეთობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

12) ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ სანატორიუმშია და დასასვენებელ  
სახლში ინტენსიური მკურნალობისათვის უფასო საგზურით უზრუნველყო-  
ფა სახელმწიფოს ხარჯზე;

13) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე წელიწადში ერთხელ დადგენი-  
ლი წესის მიხედვით მომუშავე ვეტერანებს უზრუნველყოფა სანატორიუ-  
მის, დასასვენებელი სახლისა და პროფილაქტორიუმის საგზურით; არამო-  
მუშავე ვეტერანების საგზურით უზრუნველყოფენ ის ორგანოები, სადაც  
ისინი იღებენ პენსიას;

14) მათოვის ხელსაჭრელ დროს ყოფლწლიური ფასისა და წელიწადში კროხელ  
ერთი თვის დამატებითი უხელყასო შეგუღებით სარგებლობის უფლება;

15) ამ მუხლში ჩამოთვლილი პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯების სახელმწიფო ანაზღაურება ქალაქში-საქალაქო ტრანსპორტით საავტომობილო  
ტრანსპორტით სარგებლობისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრ-  
თა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

16) სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) ვეტერანების და მათი იჯახების წევრების ახალ საცხოვრებელ ადგილას გადაყვანა და  
ბარგის გადატანა იმ სამხედრო ნაწილის მიერ, სადაც ისინი მსახურობდნენ;

17) სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) გრძელებისა და  
უფროსი ოფიცირების სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის წელიწადში  
ერთხელ რეინიზზის, საავტომობილო სახელმწიფო ტრანსპორტით ორივე მიმა-  
რთულებით უფასოდ მგზავრობა სახელმწიფოს ხარჯზე. მგზავრობისა და გადა-  
ზიდვის დოკუმენტებს აუორმებენ შესაბამისი სამხედრო კომისარიატები.

## მუხლი 18.

სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული  
